# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 ივლისი 2007 №164 (3087) ფასი 50 თეთრი


## დღეს საქართველოს ორი გული უძგერს: მარჯვნივ დინამო და მარცხნივ ამერი

### დუშან უჰრინს ტურისტების არ სჯერა





## ბელხატუვის იმედი და შიში: 10 მილიონი ევრო და აბრეშა



გიორგი ჩიხრაძე



ორესტ ლენჩიკი



ამერელებს ბელხატუვში წვიმა დახვდათ



გუშინ „ამერის“ კაპიტანი გიორგი დავითნიძე 29 წლის გახდა



## რა დროს ყატარია?!

### შოთა არველაძე ღმერთის საჩუქრით: 34 წლის კაცს მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონატი მელირსა

„ყატარში მივდიოდი და ესპანეთში ამოვყავი თავი. ღმერთმა მაჩუქა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში თამაშის შანსი და გამოვიყენე“ — გვითხრა შოთა არველაძემ, ვისაც გუშინ იმ დროს დავუკავშირდით, როცა „ლევანტესთან“ კონტრაქტი გაფორმებული ჰქონდა და ვარჯიშზე მიდიოდა ახალი თანაგუნდელების გასაცნობად. 34 წლის ქართველი გოლეადორი გუშინ დილით ჩავიდა ვალენსიაში და 1+1-წლიანი კონტრაქტიც მალევე გაფორმდა თავისი პრეზენტაციითურთ...

— „ლევანტეს“ სტადიონზე, პრეზენტაციაზე დაახლოებით 100-200 გულშემატკივარი მოვიდა. ჩვეულებრივ, ბურთი ავკენწლე, ავტოგრაფები დავარიგე, ფოტოები გადავიღე...

— რა ნომრიანი მაისური გადმოგცეს?

— ჯერ არ ვიცი.

— როდის დაიწყებ „ლევანტეში“ ვარჯიშს?

— ახლა სწორედ იქ მივდივარ. „ლევანტე“ შეკრებაზე ვალენსიიდან ოთხი საათის სავალზეა. ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაო დროა, ბევრი ტესტ-მატჩიცაა დაგეგმილი.

— უკვე წასული ამბავია და „აიაქსი“ რამდენად მოწადინებული იყო შენი გადაყვანით?

— რა გითხრათ, ეტყობა, მაინცდამაინც არ მოუნდომებია და არც ვნანობ.

— რატომ უნდა ინანო, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატში ითამაშებ. აქამდე შოთა არველაძეს ევროპის დიდი ოთხეულის კლუბში არ ყოფილა...

— არა მგონია, ვინმე შემეძლოს, რომ ესპანეთის ჩემპიონატი სანახაობრივად ევროპაში საუკეთესოა. და ალბათ, არა მარტო სანახაობრივად... ვერ ვიფიქრებდი, რომ 34 წლის ასაკში აქ წამოვიდოდი. ღმერთმა საჩუქარი გამიკეთა... ამასთან, ესპანეთი ხომ ძალიან ლამაზი ქვეყანაა. ვალენსია კი გამორჩეულია, აქ საუკეთესო კლიმატია მთელ ესპანეთში.

— ვალენსიაში მთავარი გუნდი „ვალენსიაა“. „ლევანტე“ ძალიან ჩრდილშია?

— ცხადია, „ვალენსიას“ ვერ შეედრება, მაგრამ 20-25 ათასი გულშემატკივარი კი ჰყავს.

— „ალკმაარს“ როგორ გამოემშვიდობე, რაიმე გაცილებაზე ლაპარაკი ხომ არ ყოფილა?

— ჯერ არა, მაგრამ იმედია, 11 აგვისტოს იქნება. ამ დღეს „ალკმაარი“ „ინტერს“ ხვდება ამხანაგურად და თუ თამაშის ნება დამრთეს, ხომ კარგი, თუ არადა, სანახავად მაინც ჩავალ.

ილია ნანობაშვილი

# უეფას თასი 2007-2008
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. დღეს

ბელხატუვი. 19 ივლისი. 22.45 საათი. გკს ბელხატუვი

## გკს ბელხატუვი — ამერი

მსაჯები: ტონი შაპრონი; ჟან-ფილიპ იზო, ლორენ უგო; ანტონი გოტიე (ყველა საფრანგეთი);
უეფას დელეგატი: ვლადიმირ ანტონოვი (მაკედონია)

# ბელხატუვმა ამერს 10 000 000 დაახვედრა

კობა ინასარიძე ბელხატუვიდან


გიორგი ჩიხრაძე

**საქართველოს** თასის მფლობელი „ამერი" ბელხატუვშია და დღეს ადგილობრივ გკს-ს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს ეთამაშება.

ჩვენები „აირზენას" ჩარტერული რეისით თბილისიდან გუშინ დილით გამოფრინდნენ და სამ საათში ლოძის აეროპორტში დაეშვნენ. „ამერის" ჩამოსვლას მაინცდამაინც დიდი ამბავი მოჰყვა, ვერ ვიტყვით, თუმცა ბელხატუვიდან 45 კილომეტრით დაშორებულ ლოძში „ყვითლებს" ერთიორი ჩვენი კოლეგა, ფოტორეპორტიორი და რამდენიმე ადგილობრივი ქომაგი მაინც დახვდა. მასპინძლებმა სტუმრებს მეგზურად ბელხატუვში 25 წლის წინ გათხოვილი ქართველი ქალბატონი თავისი ქალიშვილითურთ დაახვედრეს. ლოძიდან ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ კი „ამერი" ბელხატუვის კოხტა სასტუმროში დაბინავდა.

გიორგი ჩიხრაძემ პოლონეთში 21 ფეხბურთელი იახლა და გუშინ ყვილანი „ბელხატუვის" 6 870-იან სტადიონზე ავარჯიშა. ბელხატუვის სტადიონის ტრიბუნა ოფიციალურად სწორედ ამდენი ქომაგისთვისაა გათვლილი, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მასპინძლებს მოედნის ცალ მხარეს სახელდახელო, დაახლოებით 1 000-კაციანი ტრიბუნაც აუგიათ და სადღეისოდ მის შევსებასაც ელიან. სტადიონის თანამშრომლების თქმით, მატჩისადმი ძალიან დიდი ინტერესია და გუშინ შუადღისთვის სულ 80 ბილეთი იყო გასაყიდად დარჩენილი. ამ 80-ის გაყიდვა პრობლემა არ იქნებაო, სიამაყით აღნიშნეს მასპინძლებმა და ეს გასაგებიცაა — 30 წლის „ბელხატუვი" წინა სეზონში პირველად შესწვდა ჩემპიონატის ვერცხლს და ახლა ევროდებიუტი აქვს.

დებიუტანტი არაა, მაგრამ უეფას თასზე თამაშის დიდი გამოცდილებით, მოგეხსენებათ, ვერც „ამერი" დაიკვეხნის. სულ 5 წლის წინ შექმნილმა ამ თბილისურმა კლუბმა უეფას თასზე პირველად შარშან, ჯერ სომხურ „ბანანცთან", შემდეგ გერმანულ „ჰერტასთან" ითამაშა, დღეიდან კი მეორედ იწყებს საუეფათასო სეზონს.

რა ხდება გუნდში, რას ფიქრობს მეტოქეზე „ამერის" მწვრთნელი და რას უნდა ველოდოთ „ბელხატუვი" — „ამერის" მატჩისგან: ამ და სხვა კითხვებზე „ბელხატუვის" სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებს გიორგი ჩიხრაძემ და გუნდის კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ გვიპასუხეს. თუმცა ვიდრე პრესკონფერენცია დაიწყებოდა, ამერელებსა და ქართველ ჟურნალისტებს 15-20 წუთით ლოდინმა მოგვიწია, დარბაზი „ბელხატუვის" ახალი სპონსორის, კომპანია PGE-ს თავკაცებს დაეკავებინათ და პოლონელ ჟურნალისტებს სამომავლო გეგმებზე ესაუბრებოდნენ. სწორედ ამ უმსხვილესი ენერგოკომპანიის შეწევნით „ბელხატუვი" მომავალ სეზონში 10-მილიონევროიანი ბიუჯეტით პოლონეთის უმდიდრესი კლუბი იქნება.

და ვიდრე სპონსორები სათქმელს მოილევდნენ, სტადიონის ეზოში „ტოიოტას" ვერცხლისფერი კაბრიოლეტი შემოქანდა. მძღოლს გვერდს ქერა ლამაზმანი უმშვენებდა. საჭესთან პოლონური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი და „ბელხატუვის" ლიდერი ლუკაშ უჯეკი იჯდა. ცხადია, დღეს ის ვერ ითამაშებს და გუშინ სტადიონზე ოდენ ბილეთებისთვის შემოიარა. მასთან გასაუბრება ვერ მოხერხდა — როგორც შემოქანდა, ისევე გაქანდა. „ბელხატუვის" მწვრთნელ ორესტ ლენჩიკის თქმით... თუმცა, მოდით, ჯერ ჩიხრაძისა და დავითნიძის სიტყვებით დავიწყოთ, ლენჩიკის ნათქვამი კი ქვემოთ წაიკითხეთ. სხვათა შორის, გუშინ დავითნიძის დაბადების დღე იყო, რაც ჯერ თვითმფრინავში ეკიპაჟმა და გუნდმა მიულოცა, პრესკონფერენციაზე კი მოულოდნელად პოლონელებმაც იგივე გააკეთეს და, ცხადია, მილოცვას ჩვენც ვუერთდებით...

**გიორგი ჩიხრაძე**: ცხადია, მეტოქეზე გარკვეული ინფორმაცია გვაქვს. ვნახეთ „ბელხატუვის" ოთხი მატჩი და დავრწმუნდით, რომ მართლაც კარგი და საინტერესო მეტოქე გვყავს. მსურდა, მიგველო მოსამზადებელ ეტაპზე ჩატარებული მატჩების ფირებიც, მაგრამ რაც არის, ეგაა...

–ვფიქრობ, წინა სეზონის მატჩებთან შედარებით, პოლონელთა თამაშში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იქნება. „ბელხატუვი" ათლეტური გუნდია და სწრაფ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს...

...როგორ ფეხბურთს ვითამაშობთ ჩვენ? ამას ხვალ ნახავთ. მართალია, ბევრი საიდუმლო არ გვაქვს, მაგრამ მაინც, მიმაჩნია, რომ ყველაფრის თქმა არ შეიძლება. მოსამზადებელი პერიოდი „ამერმა" ჩეხეთში გაატარა. გამბრინუსლიგის ლიდერებს ვეთამაშეთ და ამ ეტაპისთვის ბიჭების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ფიზიკურადაც და ტექნიკურ-ტაქტიკურადაც ნორმალურად გამოიყურებიან...

...ბელხატუვში სულ სხვანაირი თამაში იქნება, თბილისში კი აბსოლუტურად განსხვავებული. აქ ჩვენ სხვა გეგმები გვაქვს, შინ სხვა გვექნება და თან კარგი იქნება, ღმერთიც თუ გადმოგვხედავს.

–ცხადია, საუკეთესო შედეგი მოგება იქნება, თუმცა ხვალინდელ მატჩში ფრეც დაგვაკმაყოფილებს...

...ორი სეზონია, უმაღლეს ლიგაში ვართ. საერთაშორისო დებიუტი კი შარშან გვქონდა და საკმაოდ ძლიერ გერმანულ „ჰერტასთან" კარგი თამაში ვაჩვენეთ. ამ ეტაპზე კი, ვფიქრობ, „ბელხატუვი" და „ჰერტა" თანაბარი დონის გუნდები არიან...

...მასპინძლობით კმაყოფილი ვარ. „ბელხატუვის" წარმომადგენლები ყურადღებას არ გვაკლებენ და ვეცდებით, ჩვენც ასევე ვუმასპინძლოთ.

**გიორგი დავითნიძე**: ვერ ვიტყვი, რომ „ბელხატუვი" უძლეველი გუნდია. ჩვეულებრივ, საშუალო ევროპული დონის ფეხბურთს თამაშობს და მოგების შანსი ორივე გუნდს თანაბრად აქვს. ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელის შესახებ კი მსმენია, მაგრამ მათი არ გვეშინია. იმედია, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დამთავრდება.

**ორესტ ლენჩიკი**: ნებისმიერ მეტოქეს პატივს ვცემ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, ცხადია, ჩემთვის მხოლოდ ჩემი გუნდის თამაშია მთავარი. მნიშვნელობა არ აქვს, რა დონის მეტოქე გვყავს, „ბელხატუვმა" ის ფეხბურთი უნდა ითამაშოს, როგორიც ვიცით...

–„ამერი" ძლიერი, სოლიდური გუნდია, ქართველების რამდენიმე მატჩის ფირი ვნახე და დავრწმუნდი, რომ მძიმე თამაში გველის. რა ანგარიშითაც უნდა დამთავრდეს პირველი შეხვედრა, ყველაფერი თბილისში გაირკვევა და კარგი იქნება, გამარჯვება ჩვენ თუ დაგვრჩება...

...სამწუხაროდ, „ამერთან" ოთხი ფეხბურთელი დაგვაკლდება, გარგულას კონტუზია აქვს, ნოვაკსა და უჯეკს ტრავმები აწუხებთ, ხოლო ხვალიბოგოვსკის წელი სტკივა. ესენი ჩვენთვის სერიოზული ძალაა, თუმცა შეუცვლელი არავინაა და იმედი მაქვს, მათ ნაცვლად ვინც ითამაშებს, თავს არ შეირცხვენს...

...ხვალინდელ მატჩში ჩვენთვის მთავარი მოგებაა, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა გავიმარჯვოთ. კარგი იქნება, თუ ასეთ შედეგს გოლგაუშვებლად მივაღწევთ...

...იმ ფირებით, რაც ვნახე, „ამერის" ლიდერად დავითაშვილი მიმაჩნია. სხარტი და ტექნიკური თავდამსხმელია, მის წინააღმდეგ ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

# ასათიანი წინ და საგოლე პასით

**ინებეთ**, მალხაზ ასათიანი გუშინ გამთამაშებლად დააყენეს „ხიმკი" — „ლოკომოტივის" მატჩში და ჩვენიანმაც ივარგა: სოლო გარღვევით მეკარესთან პირისპირ გავიდა, თავად არ დაარტყა, მაგრამ სენეგალელ დრამან ტრაორეს ცარიელი კარის წინ ისეთი პასი მისცა, მხოლოდ ბურთზე ფეხის მირტყმაღა იყო საჭირო. ასე გავიდა შეხვედრის პირველი გოლი, რკინიგზელებმა კი საბოლოოდ 2:1 მოიგეს.

ასათიანმა 61 წუთი კი ითამაშა, მაგრამ რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრა მეტოქის კარს, ნამატჩევს კი მწვრთნელ ანატოლი ბიშოვეცს ეს ათქმევინა: „ვიცოდი, რომ ასათიანი საქართველოს ნაკრებში ნახევარმცველად თამაშობს. ამიტომ ვენდე და წინ დავაყენე. არ ვიცი, როგორ მოვიქცევი მომდევნო მატჩებში, მაგრამ, ვფიქრობ, მალხაზს დღეს შეტევაში თამაში ძალიან მოეწონა".

ილია ნანოგაშვილი

# ზესტაფონმა მგლები შემოატრიალა

**ურეკში** შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" და ზუგდიდის „მგლებმა" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს — იმერლებმა 3:1 მოიგეს.

პირველი ტაიმი უგოლოდ დამთავრდა. მეორეში კი ანგარიში ზუგდიდელებმა გახსნეს, თუმცა როინ ონიანმა, გაგა ჩხეტიანმა და დავით ჯანელიძემ სამი უპასუხო გოლით შემოატრიალეს თამაში.

21 ივლისს „ზესტაფონი" თურქეთში გაემგზავრება შეკრებაზე.

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
## I საკვალიფიკაციო ეტაპი. I მატჩები

**პობედა (მაკედონია) 0:1 ლევადია (ესტონეთი)**
0:1 ზელინსკი (61)

**დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 1:2 ჟილინა (სლოვაკეთი)**
1:0 გრეგორიო (45პ), 1:1 ჟელი (47პ), 1:2 ლიეტავა (74)

**შერიფი (მოლდოვა) 2:0 რეინჯერსი (ანდორა)**
1:0 კუჩუკი (45), 2:0 გოროდეცკი (79)

**მარშაძსლოკი (მალტა) 0:6 სარაევო (ბოსნია)**
0:1, 0:2 რაშიჩი (5, 9), 0:3 ობუკა (20), 0:4 მაქსიმოვიჩი (41), 0:5 ობუკა (65), 0:6 ლიკარი (87ს.კ.)

**დომჟალე (სლოვენია) 1:0 ტირანა (ალბანეთი)**
1:0 იანკოვიჩი (45)

**დერი სიტი (ირლანდია) 0:0 პიუნიკი (სომხეთი)**

**ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 4:1 HB ტორსჰავნი (ფარერები)**
1:0 ბიარნასონი (10), 2:0 ვილიამსონი (12), 2:1 ნილსენი (43ს.კ.), 3:1 ოლაფსონი (51), 4:1 ვილიამსონი (57)

# ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჰარტლპული 1:3 ნიუკასლი | ჰერენვენი 2:2 უენსდი |
| ლოს ანჯელესი 0:3 ტიგრესი | ვენლო 2:1 ვოლენდამი |
| ჩელსი 1:0 სუონი | ტილბურგი 1:1 სტიაუა |
| ლევსკი 3:1 ბეითარი | კანი 2:3 ბრიუგე |
| კარლ ცაისი 0:1 მაასტრიხტი | დენდერი 1:1 ვესტერლო |
| დუისბურგი 0:1 ბეშიქთაში | უნიონი 2:0 ლიდსი |
| ლე მანი 1:1 ანჟერი | დიუსელდორფი 1:1 გალათასარაი |
| მეპენი 0:0 ჰერტა | ბრენტა 0:2 მორტონი |
| ნიურნბერგი 0:1 რუსენბორგი | გენკი 1:0 პორტუ |
| სტანდარდი 1:1 ალემანია | დარლინგტონი 0:2 სანდერლენდი |
| უნტერჰახინგი 0:3 ოლიმპიაკოსი | მიონხენგლადბახი 2:1 ბაიერნი |
| არმინია 0:1 მიუნხენი | ბრეი 0:4 ვულვერჰემპტონი |
| ბოხუმი 1:2 სლავია | ფოლკირკი 1:0 მილუოლი |
| დ. დრეზდენი 1:1 შალკე | კეტერინგი 0:1 ნორთჰემპტონი |
| ცრვენა ზვეზდა 1:1 ვესტ ბრომვიჩი | რეიდი 2:1 კილმარნოკი |
| სერკლი 3:2 მუსკრონი | რაშდენი 1:1 ნოტინგემი |
| გრააფსხაპი 3:3 სივასფორი | შრიუსბერი 2:2 ძოვენთრი |
| პსჟ — ანდერლეხტი გადაიდო | |

## შვეიცარია
სუპერლიგა
I ტური
გრასჰოპერი 2:0 სენტ გალენი

## სლოვაკეთი
I ლიგა. I ტური
სლოვანი 4:1 დუბნიცა

## დანია
სუპერლიგა. I ტური
ნორდსიელანდი 1:0 კოპენჰაგენი
რანდერსი 2:0 ვიბორგი
ორჰუსი 1:2 ჰორსენსი
ესბიერგი 1:0 ბრონდბიუ

## რუსეთი
პრემიერლიგა. XVII ტური
ხიმკი 1:2 ლოკომოტივი

## შვედეთი
ალსვენსკა. XIV ტური
ჰამარბი 1:0 კალმარი

## ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XIII ტური
იარო 1:0 ინტერი

## უკრაინა
ვიშა ლიგა. I ტური
ჩერნომორეცი 0:1 ხარკოვი

# ევროპის 2009 წლის U-19 ჩემპიონატი

| A ჯგუფი. II ტური | B ჯგუფი. II ტური |
|---|---|
| ესპანეთი 1:1 პორტუგალია | რუსეთი 2:6 სერბეთი |
| ავსტრია 1:1 საბერძნეთი | გერმანია 1:1 საფრანგეთი |

# უეფას თასი 2007-2008
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი. დღეს

თბილისი. 19 ივლისი. 18 საათი. მიხეილ მესხი

## დინამო — ვადუცი

მსაჯები: შაბა საპი; პეტერ პეგი, ჟოლტ ვარგა; ტამაშ ტომასი (ყველა უნგრეთი);
უეფას დელეგატი: იან ფასუნგი (სლოვაკეთი)

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი დატვირთული იყო: ჯერ დინამოელების პრესკონფერენცია გაიმართა, მერე ლიხტენშტაინურმა „ვადუცმა“ ივარჯიშა, ბოლოს კი დუშან უჰრინმა ჩაატარა წვრთნა...
გაახლებულ-გაძლიერებული „დინამო“ დღეს პირველად დაენახვება ქართველ გულშემატკივარს — უეფას თასის მატჩში „ვადუცს“ შეერკინება...

# რას მალავს ვადუცი?
## დუშან უჰრინს ტურისტების არ სჯერა

**დუშან უჰრინი, „დინამოს“** მწვრთნელი: ძალიან რთული თამაში იქნება. უეფას თასზე „ვადუცი“ პირველ წრეს ყოველთვის გადის. მათმა მწვრთნელმა კი თქვა, ტურისტებად ჩამოვედითო, მაგრამ თამაშის ვიდეოჩანაწერები ენახეთ და მასთან შედარებით უეფას განაცხადში ფეხბურთელების ნომრები შეცვლილია. ეს კი რაღაცას ნიშნავს — რაღაცას მალავენ. ჰყავთ ტანმაღალი ფეხბურთელები და სტანდარტული სიტუაციების დროს ძლიერები არიან...

...ჩვენ ორი კვირით გერმანიაში ვიყავით, სადაც ყველანაირი პირობა გვქონდა მოსამზადებლად. გავმართეთ საკონტროლო მატჩები, თუმცა მეტოქეთაგან მხოლოდ ორი გუნდი იყო ძლიერი...

...იცით, რომ გუნდი დატოვა ორმა კარგმა ფეხბურთელმა — იაშვილმა და შაშიაშვილმა, მაგრამ შევსებაც მივიღეთ — მეკარე ოვონო და თავდამსხმელი აკირემი. ორივე ძლიერი მოთამაშეა. კიდევ ერთმა ფეხბურთელმა დობეშმა მოსამზადებელი პერიოდი სრულად ვერ გაიარა, რაც ერთადერთი ხელისშემშლელი პირობაა ამ ეტაპზე მასზე დასაყრდნობად...

...ვოუკოუეს ადგილზე სამი ფეხბურთელი გვყავს, ამიტომ მისი აყვანა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ...

...იაშვილის შეცვლა ძნელია, თუმცა არიან ფეხბურთელები, რომლებმაც ძალიან მოუმატეს — ოდიკაძემ, კობახიძემ, ფეიქრიშვილმა...

...ჯერ ამ თამაშზე ვფიქრობთ და მომდევნო მეტოქეზე ვარაუდები მერე იყოს...

**დავით დილმელაშვილი, „დინამოს“** კაპიტანი: მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილები ვართ. დამაიმედებელი ისაა, რომ გასული სეზონის მეორე წრეში გუნდი კარგად შეთამაშებული არ იყო, ახლა კი გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს...

...ეს ჩვენი პირველი თამაშია და მაინც რთული იქნება. მაყურებელთა მხარდაჭერის იმედიც გვაქვს, კარგი იქნება, თუ სტადიონი გაივსება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


დუშან უჰრინი, პრესატაშე გიგა გვენცაძე და დავით დილმელაშვილი


ჰაინც ჰერმანი

გურამ დოლიძეშვილის ფოტო

**გუშინ** „ვადუცმა“ ბოლო ვარჯიში გამართა „დინამოსთან“ შეხვედრამდე.

ლიხტენშტაინელები თბილისში დანაკლისით ჩამოვიდნენ — უეფას თასის განაცხადში ბრაზილიელი ალეშანდრო და სილვას შეყვანა ვერ მოასწრეს, ხოლო ბენჟამინ ფიშერს და გასპარ ოდირლეი დე სოუზას ტრავმები აწუხებთ.

„ჯუჯების“ მწვრთნელმა ჰაინც ჰერმანმა სათბილისოდ 18 ფეხბურთელი იახლა, მაგრამ დანაკლისს ვერც აქ ასცდა — „მიხეილ მესხზე“ „ვადუცის“ თავკაცმა 17 ავარჯიშა — დანიელ ჰესლერი დაშავდა. დღეს ის მატჩის განაცხადში კი იქნება, მაგრამ...

გუშინდელი ვარჯიშით იოლი გამოსაცნობია, რა სქემით ითამაშებს „ვადუცი“ — პრესინგი და სწრაფი კონტრშეტევა.

ჰერმანმა თავიდან ფეხბურთელები მსუბუქად ავარჯიშა, შემდეგ კი ტაქტიკაზე ამუშავა — შეტევებს მცველები გრძელი გადაცემით იწყებენ და ბურთი ფლანგზე გადააქვთ, იქიდან კი ნახევარმცველები საჯარიმოში აწოდებენ და ათლეტური თავდამსხმელები ხიდად არიან.

მწვრთნელი ყველაფრის გაკეთებას სწრაფად ითხოვდა და ფეხბურთელებიც 4-5 წამში ეტეოდნენ.

ასეთი კომბინაციების დამუშავების შემდეგ ფეხბურთელებმა შორიდან დარტყმებშიც ივარჯიშეს, რასაც საკმაოდ კარგად ასრულებდნენ.

მერე ჰერმანმა ძირითადის თერთმეტეული გაყო და შემტევებს მცველების შეწუხება დაავალა — ეს ყველაფერი ლიხტენშტაინელებმა მოედნის ცენტრში უნდა გააკეთონ და ამით „დინამოს“ შეტევის დაწყების საშუალება არ უნდა მისცენ.

ერთადერთი, რაზეც „ვადუცის“ თავკაცი ნერვიულობდა, შეგირდების უზუსტობა იყო — სწრაფი და სწორი პასის გაკეთება ცოტა ჭირდა.

ვარჯიშის შემდეგ ჰერმანმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა: „ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს და უეფას თასზე თამაში დიდი გამოცდილებაა. „დინამოს“ ფავორიტად მივიჩნევ, მაგრამ ფეხბურთელებს ბოლომდე ბრძოლას მოვთხოვ...

...მეტოქეზე ცოტაოდენი ინფორმაცია გვაქვს, მათი ერთი თამაშიც ვნახე გერმანიაში...

...ჩვენი მიზანი უეფას თასზე ყურადღების გადატანა არ არის — მთავარი აქცენტი ჩემპიონატზე გვექნება...

...რა ტაქტიკით ვითამაშებთ? მატჩის წინ ამას არც ერთი მწვრთნელი არ ამბობს.

და ერთიც: ჰერმანის 18-კაციანი სათბილისო სია ასეთია:

**მეკარეები** — იან სომერი, გაბრიელ ვიუტრიხი;

**მცველები** — გირენ აკდემირი, პასკალ ჩერონე, დამირ ძომბიში, დანიელ ჰესლერი, ტომას ვიენმანი, მარკო რიცბერგერი, ფლორიან შტურმი;

**ნახევარმცველები** — გილერმო ალასტრა, იოან ლანგლეტი, მიშელ მაჯეტი, ბრუნო სუტერი, კრისტიან ვიჩორეკი, მარიუს ზარნი;

**თავდამსხმელები** — ტიმ როსკლაუსი, რაფაელ როჰრერი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯუჯები დინამოს 10 წუთით დაენახვნენ

**„ვადუცი“** ვარჯიშს ამთავრებდა, თბილისის „დინამო“ „მიხეილ მესხზე“ რომ მოვიდა და მეტოქესაც 10 წუთი ადევნა თვალყური.

დინამოელთა მწვრთნელმა დუშან უჰრინმა გუნდს ვარჯიში მოთელვით დააწყებინა, მერე კი დინამოელებმა პასის სიზუსტეზე იმუშავეს.

უჰრინმა გუნდი ორად გაყო — ნაწილს დიდიე ოვონოს კარში დარტყმა დაავალა, დანარჩენები კი გიორგი ლორიას ახტუნავებდნენ.

რამდენიმე წუთში ნახევარ მოედანზე ორკარაც გაჩაღდა, 50-წუთიანი ვარჯიში კი გაწელვებით დასრულდა.

„დინამოს“ ხელმძღვანელებმა, გიორგი ტყავაძემ და ამირან ღიბრაძემ ჯერ „ვადუცის“ ვარჯიში ნახეს, შემდეგ კი თავისიანებს მოედნის კიდიდან უყურეს.

უჰრინიც თავის საქმეს რომ მორჩა, შემდეგ კლუბის ხელმძღვანელებს გაესაუბრა, ცოტა ხანში კი სტადიონი გუნდთან ერთად დატოვა და ჩვენც გიორგი ტყავაძეს მცირე კომენტარი ვთხოვეთ:

— მეტოქის ვარჯიშიც ვნახე, მაგრამ, ცხადია, ჩვენების უფრო მაინტერესებდა. ბევრი ამბობს, რომ „ვადუცი“ სუსტი გუნდია, რასაც ვერ დავეთანხმები — ჩვეულებრივი ევროპული გუნდია. ევროპაში კი სუსტები უკვე ძნელად მოიძებნებიან...

...„დინამოს“ კონკრეტულად ერთი და ორი ეტაპის გავლა არ აქვს დასახული — ჩვენ ყველა თამაშზე მოსაგებად გავდივართ. არ აქვს მნიშვნელობა, ეს შინაური ჩემპიონატია თუ უეფას თასის მატჩი... ვფიქრობ, თბილისის „დინამო“ დღითიდღე იზრდება და გაჩერებას არც ვაპირებთ.

**ნუკრი ლოლაძე**


დინამოელები მეტოქეს აფასებენ და უხასიათობასაც არ უჩივიან

გურამ დოლიძეშვილის ფოტოები


ვადუცელები კარში ზუსტი დარტყმებით გამოირჩნენ

# უნივერსიტატიდან ჰერტამდე

## საქართველო უეფას თასზე: ვიფიქროთ და გავიაროთ მეტი

**დამოუკიდებელი** ქვეყნის სახელით თუკი რამ სათქმელი აქვს ქართულ საკლუბო ფეხბურთს, სწორედ უეფას თასზე „დინამოს" მიერ მიჯრით სამი ეტაპის გავლაა. თანაც ორჯერ: პირველად 1996 წელს იყო, როცა დავით ყიფიანის გუნდმა მეთექვსმეტედფინალამდე მიაღწია და იქ „ბოავიშტა" აისბერგივით აესვეტა, მეორედ კი 2004-ში გია გეგუჩაძის მწვრთნელობისას 40-გუნდა ჯგუფურ ეტაპზე გაძვრა, სადაც ოთხივე თამაში პირწმინდად წააგო, მაგრამ იქამდე მისვლა უკვე მსუყე შედეგი იყო.

მოვყვეთ თავიდან: 1994 წელს გივი ნოდიას „დინამო" ზუსტად იმავე შემადგენლობით გაიდა ევროსარბიელზე, როგორითაც წინა წელს „ლინფილდთან". სამივე ძმა არველაძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, შელია... ლაზათიანი გუნდი იყო, 21-22 წლის ბიჭებმა რუმინულ „უნივერსიტატეას", რომ იტყვიან, ბურთი აუმღერეს — შინ 2:0 მოუგეს, სტუმრად კი 2:1 იმარჯვეს და ავსტრიის „ტიროლზე" გავიდნენ. დინამოელებმა აქაც მშრალად გაიმარჯვეს „ეროვნულზე" (1:0), მაგრამ სტუმრად 1:5 განადგურდნენ — თუ გახსოვთ, წინა მატჩში გაძევებული მურთაზ შელია აკლდა გუნდს და თბილისელთა საჯარიმო ავსტრიელთა ბულვარად გადაიქცა, გუნდს მხოლოდ ორი ნომინალური მცველი ჰყავდა...

„ტიროლთან" მარცხის შემდეგ „დინამოს" ნიჭიერი ბიჭები უცხოეთში გაიფანტნენ და მომდევნო წელს ბულგარულ „ბოტევთან" მარცხი დიდად გასაკვირი არც იყო — მწვრთნელ დავით ყიფიანს გამოუცდელი ბიჭები შერჩა ხელში.

იმავ წელს „სამტრედია" მაკედონიურ „ვარდართან" წაიქცა.

1996 წელს სირცხვილი ჭამა ზესტაფონის „მარგვეთმა": მალტაში 3:1 მოერია „სლიემას", შინ კი 0:3 წაგება მოახერხა. სამაგიეროდ, ყიფიანის „დინამომ" ჯერ ლუქსემბურგის „გრევენმახერი" გაიარა იოლად, მერე ნორვეგიულ „მოლდეს" მოერია და, რაც მთავარია, მოსკოვის „ტორპედოც" გაასილაქა: პირველ მატჩში, მოსკოვურ თოვლჭყაპში გოჩა ჯამარაულმა ჯარიმით გაიტანა, 19 წლის ლევან კობიაშვილმა „ტორპედოს" ფლანგელები გააწამა და მთლიანობაში „დინამოს" უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლო მოგება.

„აი, ახლა დაილლებიან ქართველები, აი, ახლა" — ამაოდ უცდიდა ჩვენების გამოფიტვას რუსი კომენტატორი... საპასუხო მატჩშიც ჯამარაულმა გაიტანა, 1:1 და გავედით. მერე კი „დინამომ" პორტუგალიურ „ბოავიშტას" შინ 1:0 სძლია, სტუმრად კი იმხანად უცნობ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკთან და რასელ ლატაპისთან ჭიდილს ვერ გაუძლეს „დინამოს" ახალგაზრდა მცველებმა და 0:5... ყიფიანისეული „დინამო" ორი წლის წინანდელს თამაშის სილამაზით კი ჩამორჩებოდა, მაგრამ შედეგი უკეთესი ჰქონდა.

1997 წელს „დინამო" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ გადაერთო უეფას თასზე, ბელარუსის „მპკც მოზირს" მინიმალურად სძლია, მერე კი ისევ პორტუგალიელები გადაელობნენ — ამჯერად „ბრაგამ" დაიღო თბილისელთა ცოდვა...

იმავე წელს ფოთის „კოლხეთი" მინსკის „დინამოსთან" ოდენ სტუმრად გატანილი ნაკლები გოლით გავარდა.

1998-შიც ნაჩემპიონთალიგარი „დინამო", რომელიც „ბილბაომ" ძლივს გააგდო, ჰოლანდიის საშუალო დონის „ტილბურგთან" ჯამში 0:6 შერცხვა. „კოლხეთმა" კი ჯამში 0:11 წააგო „ცრვენა ზვეზდასთან" — მოკლედ, კოშმარული სეზონი იყო და მომდევნო წლებიც ასე გაგრძელდა, ამ პერიოდიდან უკვე ძალიან აურიეს ჩვენმა კლუბებმა.

1999 წელს ქუთაისის „ტორპედომ" და თბილისის „ლოკომოტივმა" პირველი ეტაპი გაიარეს, მაგრამ მერე ბერძნული ალიყური იგემეს — „ტორპედომ" აეკ-თან ჯამში 1:7 წააგო, რკინიგზელები კი პირველივე თამაშში შინ 0:7 გასაწყალდნენ პაოკ-თან.

2000-შიც თათარიახნად დაგვიმთავრდა უეფასთასობანა, რაკილა ვერც „ვიტ ჯორჯიამ" „ბეითარს" და ვერც „ლოკომოტივმა" „სლოვანს" ბუზიც ვერ აუფრინეს.

მომდევნო წელსაც ერთი ეტაპი ითამაშეს ჩვენმა გუნდებმა: „ლოკომოტივი" მალტის „ბირკირკარასთან" გავარდა. ქართველები მეორედ გადაეყარნენ მალტელებს და მეორე მარცხი! „დინამომ" კი შინ 2:1 მოუგო ბელარუსის ბატე-ს, მაგრამ სტუმრად ლადო ბურდული-სოსო გრიშიკაშვილის გაძევებამ თბილისელებს ილაჯი გამოაცალა — 0:4... მაშინ „ლოკომოტივს" კახა ცხადაძე, „დინამოს" კი გივი ნოდია წვრთნიდნენ.

მერე კი ივო შუშაკის „დინამომ" ცოტა გამოანათა. ხორვატი მწვრთნელის ხელში გუნდი ანგარიშგასაწევი ძალა გახდა და ჯერ ესტონურ ტვმკ-ს ხომ ცალი ფეხით მოუგო, მერე კი „მილანთან" ტოლსწორად მეომარ ჩეხურ „ლიბერეცს" დააწყვიტა ნერვები — შუშაკელებმა სტუმრად 2:3 წააგეს და საპასუხო მატჩზე „ეროვნული" თითქმის პირთამდე გაივსო, მაგრამ ვერა... 0:1. და მაინც, წინა წლებთან შედარებაც არ იყო, კოშმარებს გამოვცდით.

„დინამოს" გამონათებული „ტორპედომ" და ბოლნისის „სიონმა" ჩააქრეს: ქუთათურთა ამბავი გასაგებია, სამი წლის წინანდელ საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსთან" ვერაფერს გააწყობდნენ, აი, „სიონმა" კი ორგზის წააგო სლოვაკურ „პუხოვთან", რომელიც შემდეგ ეტაპზე „ბარსელონამ" 8:0 გაანადგურა.

2004 საუკეთესო ევროსეზონი იყო ქართველებისთვის. „დინამოს" გია გეგუჩაძე წვრთნიდა, რომელსაც ისეთი შემადგენლობა არ ჰყოლია, როგორც შუშაკს, მაგრამ ჯერ ბატე შემუსრა, მერე პრაღის „სლავიას" მოერია და ჯგუფში გასასვლელ ეტაპზე პოლონეთის ის „ვისლა" დასცა, რომელმაც სულ რაღაც ერთი თვის წინ საქართველოს ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას" თბილისში 8:2 მოუგო. გეგუჩაძე ენდობოდა 18 წლის [illegible] კიდევ რამდენიმე გამოუცდელ ახალგაზრდას, მაგრამ გამოუცდელი გეძახა — „დინამო" ჯგუფში მოხვდა, სადაც უკვე ვერაფერი გააწყო და თითქმის უბრძოლველად დათმო თამაშები. ბერძნულ „პანიონიოსთან" 2:5 წაგებამ კი დიდი ეჭვები გააჩინა, ტოტალიზატორებში მრავლად შესულა ფსონები ზუსტად ამ ანგარიშზე...

„დინამოს" ფონზე არავის გახსენებია „თბილისის" მიერ აზერბაიჯანული „შამქირის" გაგდება და პოლონურ „ლეგიასთან" გავარდნა — გიორგი დევდარიანს სიმპათიური, მაგრამ საევროპოდ მოუმწიფებელი გუნდი ჰყავდა.

2005-ში ისევ ერთეტაპა უეფას თასი გამოვიდა: დაშლილი „ტორპედო" ბატე-სთან შერცხვა, „ლოკომოტივმა" კი სომხეთში „ბანანცთან" 3:2 მოგების შემდეგ შინ 0:2 წააგო და მეორე დღეს „სარბიელის" პირველ გვერდზე ლამაზად მოგრეხილი ბანანის უზარმაზარი ფოტო გამოჩნდა.

და შარშან: „ვიტ ჯორჯიას" ვერავინ დასძრახავდა ჩემპიონთა ლიგაში ნათამაშევ „არტმედიასთან" გავარდნისთვის, თანაც ვიტელები საკმაოდ გაუძალიანდნენ მეტოქეს და ცოტა იღბალიც დააკლდათ.

„ამერს" კი სადებიუტო ევროსეზონი ჰქონდა და ჯერ „ბანანცს" არ აპატია წინა წელს „ლოკომოტივის" დაბრიყვება, მერე კი გერმანულ „ჰერტას" ეომა — წარმოიდგინეთ, ხუთწლიანი ისტორიის მქონე გუნდმა ბერლინში ბოლო წუთზე გაშვებულით წააგო, შინ კი ორჯერ იგებდა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა.

და რა იქნება წლეულს? ამას ნაწილობრივ დღეს გაეცემა პასუხი.

**ილია ნანობაშვილი**

## ქართული კლუბები უეფას თასზე

### 1994-95

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — უნივერსიტეტია (რუმინეთი) 2:0, 2:1

**პირველი ეტაპი**

დინამო — ტიროლი (ავსტრია) 1:0, 1:5

### 1995-96

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ბოტევი (ბულგარეთი) 0:1, 0:1

ვარდარი (მაკედონია) — სამტრედია 1:0, 2:0

### 1996-97

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

სლიემა (მალტა) — ზესტაფონი 1:3, 3:0

დინამო — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 4:0, 2:2

**II საკვალიფიკაციო**

დინამო — მოლდე (ნორვეგია) 2:1, 0:0

**1/32 ფინალი**

ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) — დინამო 0:1, 1:1

**1/16 ფინალი**

დინამო — ბოავიშტა (პორტუგალია) 1:0, 0:5

### 1997-98

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო (მინსკი, ბელარუსი) — კოლხეთი 1:0, 1:2

**1/32 ფინალი**

მოზირი (ბელარუსი) — დინამო 1:1, 0:1

**1/16 ფინალი**

ბრაგა (პორტუგალია) — დინამო 4:0, 1:0

### 1998-99

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

კოლხეთი — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 0:4, 0:7

**1/32 ფინალი**

ტილბურგი (ჰოლანდია) — დინამო 3:0, 3:0

### 1999-2000

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლანტანა (ესტონეთი) — ტორპედო 0:5, 2:4

ლოკომოტივი — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 1:1

**II საკვალიფიკაციო**

ტორპედო — აეკ (საბერძნეთი) 0:1, 1:6

ლოკომოტივი— პაოკ (საბერძნეთი) 0:7, 0:2

### 2000-01

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ვიტ ჯორჯია — ბეითარი (ისრაელი) 0:3, 1:1

სლოვანი (სლოვაკეთი) — ლოკომოტივი 2:0, 2:0

### 2001-02

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ბირკირკარა (მალტა) — ლოკომოტივი 0:0, 1:1

დინამო — ბატე (ბელარუსი) 2:1, 0:4

### 2002-03

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

დინამო — ტვმკ (ესტონეთი) 4:1, 1:0

კოპენჰაგენი (დანია) — ლოკომოტივი 3:1, 4:1

**1/32 ფინალი**

ლიბერეცი (ჩეხეთი) — დინამო 3:2, 1:0

### 2003-04

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ლანსი (საფრანგეთი) — ტორპედო 3:0, 2:0

პუხოვი (სლოვაკეთი) — სიონი 3:0, 3:0

### 2004-05

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

თბილისი — შამქირი (აზერბაიჯანი) 1:0, 4:1

ბატე (ბელარუსი) — დინამო 2:3, 0:1

**II საკვალიფიკაციო**

თბილისი — ლეგია (პოლონეთი) 0:1, 0:6

სლავია (ჩეხეთი) — დინამო 3:1, 0:2

**პირველი ეტაპი**

ვისლა (პოლონეთი) — დინამო 4:3, 1:2

**ჯგუფური ეტაპი**

დინამო — სოშო (საფრანგეთი) 0:2

ნიუკასლი (ინგლისი) — დინამო 2:0

დინამო — სპორტინგი (პორტუგალია) 0:4

პანიონიოსი (საბერძნეთი) — დინამო 5:2

### 2005-06

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

ტორპედო — ბატე (ბელარუსი) 0:1, 0:5

ბანანცი (სომხეთი) — ლოკომოტივი 2:3, 2:0

### 2006-07

**I საკვალიფიკაციო ეტაპი**

არტმედია (სლოვაკეთი) — ვიტ ჯორჯია 2:0, 1:2

ამერი — ბანანცი (სომხეთი) 0:1, 2:1

**II საკვალიფიკაციო**

ჰერტა (გერმანია) — ამერი 1:0, 2:2

78 მატჩი: +25 =9 -44 77:154

# ახალკაცი მსოფლიოს ევროპულში

## 2010 წლის მუნდიალს ქართველიც უხელმძღვანელებს



ბადრი ქიქიაშვილის ფოტო

**ფიფას** აღმასკომმა სამხრეთ აფრიკაში 2010 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა ვინაობა დაადგინა.

საინტერესოა, რომ 29 წევრიდან მხოლოდ 8 არის ევროპელი და საორგანიზაციო კომიტეტის სიაში მოხვედრილთა სრული უმრავლესობა ფიფას ან უეფას აღმასკომის წევრია. გამონაკლისს მხოლოდ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე თეო ცვანციგერი წარმოადგენენ.

საორგანიზაციო კომიტეტის სრული სია: ისა ჰაიატუ (კამერუნი); ხულიო გრონდონა (არგენტინა); მიშელ პლატინი (საფრანგეთი); ჯეკ უორნერი (ტრინიდადი და ტობაგო); ანხელ მარია ვილიარ ლონა (ესპანეთი); ნეინალდ ტემარი (ტაიტი); მიშელ დუგი (ბელგია); რიკარდო ტეიშეირა (ბრაზილია); მოჰამედ ბინ ჰამამი (ყატარი); სენეშ ერზიკი (თურქეთი); ჩაკ ბლეიზერი (აშშ); ნიკოლა ლეოზი (პარაგვაი); იუნჯი ოგურა (იაპონია); სლიმ ჩობოუბი (ტუნისი); ჟაკ ანუმა (კოტ დიუვარი); ფრანკო კარარო (იტალია); ჟილონგ ჟანგი (ჩინეთი); ჟილბერტო მადაილი (პორტუგალია); მოლეფ ოლიფანტი (სამხრეთ აფრიკა); **ნოდარ ახალკაცი** (საქართველო); ჰაფეზ ალ-მედლეი (საუდის არაბეთი); ლუის ჩირიბოგა (ეკვადორი); ფრედ დეიონგი (ახალი ზელანდია); რინაალ ფრანსისკა (ჰოლანდიის ანტილიის კუნძულები); მოჰამედ რაორაო (ალჟირი); თეო ცვანციგერი (გერმანია); ირვინ კოზა (სამხრეთ აფრიკა); დენი ჯორდაანი (სამხრეთ აფრიკა); ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია).

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ნოდარ ახალკაცი უეფას ეროვნული ნაკრებების შეჯიბრების კომიტეტის მესამე ვიცე-თავმჯდომარედ აირჩიეს.

**ტახა ზალამბერიძე**

გუშინწინ თითქმის მთელი საფეხბურთო საქართველო რუსთავში იყო „ოლიმპი" — „ასტანას" მატჩის სანახავად. ტრიბუნაზე შევნიშნეთ გია გურულიც, რომელიც საფრანგეთში საქმიანობს და ჩვენი გუნდებისთვის აფრიკელი ფეხბურთელებიც ჩამოჰყავს. „ოლიმპის" აფრიკელები, ერნესტ აკუასაგაც და ბოდრი მასუანგაც გურულის მეშვეობით აღმოჩნდნენ რუსთავში...



ბადრი ქიქიაშვილის ფოტო

# ჩავიდოთ თავში: უბედურება თავშია!

## ნუ ჩავიჯიბავთ ბავშვებს და საფრანგეთიც იქნება

— დასანანია, რომ ვერ მოვიგეთ. ჩემი აზრით, „ოლიმპს" უფრო გუნდურად რომ ეთამაშა, აუცილებლად გაიმარჯვებდა. რატომღაც ყველა ინდივიდუალურად ცდილობდა ფონს გასვლას.

**— აქვს „ოლიმპს" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი?**

— ორივე გუნდი თანაბარი დონისა ჩანდა, ასე რომ, რუსთაველები უშანსოდ სულაც არ არიან.

**— თქვენს აფრიკელებზე რას იტყვით?**

— თავდამსხმელმა მასუანგამ ცოტა ხანი ითამაშა, მცველი აკუასაგა კი ნორმალურად იდგა. მათ დღეს სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. თბილისის „დინამოსთან" კი დიდიე ოვონომ და ჯორჯ აკირემიმაც გააფორმეს 1+2-წლიანი კონტრაქტი.

**— კიდევ გამოჩნდებიან ქართულ გუნდებში აფრიკელები?**

— რამდენიმე ვარიანტი არის, თუმცა ჯერ ამაზე კონკრეტულად საუბარი ნაადრევია.

**— ამჟამად რატომ ჩამოხვედით საქართველოში? რომელიმე ქართველ ფეხბურთელს ხომ არ უპირებთ საფრანგეთში წაყვანას?**

— არა, მხოლოდ შვებულებით ვისარგებლე და რამდენიმე დღით ჩამოვედი. ისე, ახლა არა, მაგრამ შემდეგში ამას არ გამოვრიცხავ. რასაც პრესით ვიგებ და მეგობრებიც მეუბნებიან, ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე კარგი ახალგაზრდაა. თუ ჩავთვლი, რომ ისინი საფრანგეთში თამაშს შეძლებენ, აუცილებლად წავიყვან.

**— საფრანგეთში რეგიონალლიგელი „ბრედუნის" მწვრთნელი ხართ და მოზარდთა გუნდსაც ავარჯიშებთ. რა განსხვავებას ხედავთ ქართველ და ფრანგ მოზარდებს შორის?**

— ქართველ ბავშვს ბურთის ნიჭი სისხლში აქვს, ფრანგები კი წარმატებას შრომითა და სწორი აღზრდით აღწევენ. ქართული ფეხბურთის უბედურება ის არის, რომ საერთოდ არ ექცევა ყურადღება ბავშვთა ფეხბურთს. ყველამ იცის, როგორ მიაღწია საფრანგეთმა ასეთ წარმატებას: 25 წლის წინ მთავრობამ ბავშვთა ფეხბურთზე გადაიტანა აქცენტი. შექმნეს საფეხბურთო სკოლები, სათავეში პროფესიონალები ჩაუყენეს და შედეგიც მიიღეს.

**— ჩვენი საფეხბურთო სკოლების საქმიანობას თუ იცნობთ?**

— არის რამდენიმე სკოლა, სადაც სწორი მიმართულებით მუშაობენ, მაგრამ ბევრ სკოლაში ვაკხანალიაა. საქართველოში ბავშვმა ფეხბურთზე რომ იაროს, ფულს ახდევინებენ. არადა, ბევრი ნიჭიერი ბავშვის მშობელს არ აქვს საშუალება და ამის გამო ტალანტები იკარგებიან. ერთი სიტყვით, თუ ბავშვთა ფეხბურთს არ მიეხედა, არც ეროვნულ ნაკრებს ეშველება.

**— საქართველოს ნაკრებში ალენ ჟირესის თანაშემწე იყავით. დღეს მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერია. რა შეიცვალა?**

— არ იქნება ეთიკური, ტოპმიოლერზე რამე ვთქვა. ერთს ვიტყვი, ვინც უნდა მოვიყვანოთ ნაკრების მწვრთნელად და რამდენიც უნდა მივცეთ, უცებ საქმეს ვერავინ გააკეთებს. ჯერ ბავშვთა ფეხბურთს და ეროვნულ ჩემპიონატს უნდა მიეხედოს და ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოხვედრაზე მერე ვიფიქროთ. იმის უთქმელობაც არ იქნება, რომ საქართველო ახლა დგება ფეხზე და იმედი მაქვს, მალე ქართულ ფეხბურთსაც ეშველება.

**— ბოლოს თქვენს ვაჟზეც გკითხავთ: სად თამაშობს ახლა სანდრო?**

— „ლიონ დუშერში" დაბრუნდა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. არ დავმალავ და გეტყვით: გულნატკენია. როცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაში უწევდა და ჯანზეც იყო, არ იძახებდნენ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ასტანას დაუმარცხებლის არაფერი ეტყობა

საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" ვერ შეძლო ყაზახური „ასტანას" შინ დამარცხება და უგოლო ფრეს დასჯერდა. ამგვარად, რუსთაველებს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ, რათა მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ პირველი მატჩის შემდეგ თვითონ ფეხბურთელები და ჩვენც ლადო დვალიშვილს შევეხმიანეთ...

— ვერმოგების რამდენიმე მიზეზი არსებობს. ვერ გამოვიყენეთ ხელსაყრელი მომენტები და ისიცაა, რომ ყაზახეთში გაგანია ჩემპიონატია, ჩვენ კი სულ რამდენიმე ტესტმატჩი ვითამაშეთ. ისე, ცოტა იღბალიც რომ წაგვეხმარებოდა, მოვიგებდით. არა, მეტოქესაც ჰქონდა გატანის ორი კარგი შანსი, მაგრამ გამარჯვებას ჩვენ უფრო ვიმსახურებდით.

**— მეტოქეზე რა აზრის დარჩი?**

— „ოლიმპზე" ძლიერი გუნდიაო, ვერ ვიტყვი, მაგრამ სუსტიც არ ეთქმის.

**— საშინაო 0:0-ის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებ?**

— ვფიქრობ, შანსები თანაბარია. ცუდია, რომ რუსთავში ვერ მოვიგეთ, თუმცა გოლიც არ გაგვიშვია და ეს პატარა პლუსია.

**— ყაზახეთში ალბათ კონტრშეტევებზე ითამაშებთ...**

— ვნახოთ, ყველანაირად უნდა შევეცადოთ, გოლი გავიტანოთ. „ასტანა" კი სულაც არ ჩანს ისეთი გუნდი, შეტევა შეტევაზე მოგვიწყოს.

**— „ოლიმპის" ლეგიონერებზე რაღას იტყვი?**

— ჩემი აზრით, საკმაოდ ნორმალურად ითამაშეს. ყველაზე უკეთ აკუასაგა გაისარჯა, ჟივკოვსაც ეტყობა, რომ კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ცოტა ფიზიკური მომზადება აკლია, მასუანგას კი თავი არ დაუზოგავს...

**ნუკრი ლოლაძე**



ბადრი ქიქიაშვილის ფოტო

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები



ასე გაიხარა „აპოელმა"



„კაუნასს" მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გივი კვარაცხელიამ (№20) შეუნარჩუნა

ოლიმპი (საქართველო) 0:0 ასტანა (ყაზახეთი)

ხაზარი (აზერბაიჯანი) 1:1 დინამო (ხორვატია)

1:0 რამაზანოვი (59), 1:1 ეტო (63)

აპოელი (კვიპროსი) 2:0 ბატე (ბელარუსი)

1:0 მიხაელი (42), 2:0 მახლასი (60)

ზეტა (ჩერნიგორია) 3:1 კაუნასი (ლიტვა)

1:0 კორაჩი (343), 2:0 ტუმბასოვიჩი (36), 3:0 სტიეპანოვიჩი (59), 3:1 კვარაცხელია (68)

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:0 ელფსბორგი (შვედეთი)

მურატა (სან მარინო) 1:2 ტამპერე (ფინეთი)

1:0 პროტი (22), 1:1, 1:2 ნიემი (68, 87)

ნიუ საინტსი (უელსი) 3:2 ვენტსპილსი (ლატვია)

1:0 ვილდე (14), 1:1 რიმკუსი (28), 2:1 ბარკერი (54), 2:2 რიმკუსი (89), 3:2 ჰოგანი (90)

# მურატა აცხადებს: ალდაირი ცოცხალია და თამაშობს

**41 წლის** ალდაირი შვილიშვილებს უნდა ეთამაშებოდეს და ისევ ბურთს დასდევს. მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი „მურატას" ფეხბურთელია, „მურატა" კი სან მარინოს პირველი გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი დააჭაშნიკა. სწორედ ალდაირის კარგი თამაშის წყალობით და კრისტიან პროტის გოლით მოუგეს ტაიმი „ტამპერეს", მაგრამ ფინეთის ჩემპიონმა მეორე ნახევარში იარი ნიემის დუბლით სენსაცია ჩაშალა.

საამსეზონო ლიგის პირველი გოლი კი ზაურ რამაზანოვის ანგარიშზეა. „ხაზარის" სწრაფმა ფორვარდმა, რომელმაც გასულ სეზონში 20 გაიტანა, მცველებს გაასწრო და ბურთი კარში შეაბრძანა. მასპინძლების სიხარული ოთხ წუთს გაგრძელდა, რადგან ზაგრების „დინამოს" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ეტომ გაათანაბრა. 73-ე წუთზე „ხაზარის" კაპიტანი ემინ გულიევი უხეშობისთვის გააძევეს და აზერბაიჯანელებმა დარჩენილი დრო დაცვაში გაატარეს.

„ამ ეტაპზე ყველაზე ძლიერი მეტოქე გვერგო — თქვა „ხაზარის" მწვრთნელმა აგასალიმ მირჯავადოვმა — მატჩამდე მკითხაობდნენ, თუ რამდენს გაგვიტანდა „დინამო", მაგრამ ჩვენ კინაღამ მოვიგეთ".

სერბეთისგან გამოყოფილი ჩერნიგორიის დებიუტი ლიგის შესარჩევში „ზეტათი" შედგა, რომელმაც ათკაცა „კაუნასი" დაამარცხა. ლიტველებს პირველი ტაიმის შუაში ვალკანოვი გაუძევეს და ამას მოჰყვა ორი გოლი. სლავენ სტეპანოვიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჟალკო კორაჩმა გაიტანა, მერე კი იანკო ტუმბაშევიჩმა თავურით სხვაობა ორამდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ სტეპანოვიჩმა მესამე მიაყოლა და მასპინძლები დამშვიდნენ, რაც გივი კვარაცხელიას გოლად დაუჯდათ.

უელსის ჩემპიონმა „ნიუ საინტსმა" მე-17 მატჩი ითამაშა საკვალიფიკაციოში და ისტორიული, პირველი გამარჯვება მიითვალა. მასპინძლებმა მაიკლ ვილდის თავური დარტყმით გახსნეს ანგარიში, ათი წუთის შემდეგ კი რიმკუსმა გაათანაბრა.

მეორე ნახევარში მეტოქეებმა გოლები კიდევ ერთხელ გაცვალეს, მერე კი ბარი ჰოგანმა თამაშის მიწურულს შეაგდო და სტუმრებს გასაქვითად დრო აღარ დარჩათ.

ნიქოზიის „აპოელმა" ამ ზაფხულს ბევრი კარგი ფეხბურთელი იყიდა და განაცხადა, რომ ასეთი ძლიერი გუნდი არასოდეს ჰყოლია. კვიპროსელები ხრისტოს მიხაილის გოლით დაწინაურდნენ ტაიმის ბოლოს, როცა ფორვარდმა საჯარიმოს გარედან დარტყმით შეაგდო. ვეტერანმა თავდამსხმელმა ნიკოს მახლასმა შესვენების შემდეგ თავით გაუტანა „ბატეს", ხოლო მოგვიანებით სტუმართა მცველი ანტონ სახაროვი გააძევეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ ჩაჯდე, დევიდ, თვითმფრინავში



დევიდ ბექემი, ტრავმით თუ უტრავმოდ, უზომოდ პოპულარულია: გუშინ ამერიკაში პაპარაცებმა ის და ვიქტორია ასეთ ვითარებაში ჩაავლეს

**ბექემიადა** გრძელდება: „ლოს ანჯელეს გალაქსის" ახალი ვარსკვლავი თვითმფრინავში ჩაჯდა, რათა წინ და უკან 3 500 კილომეტრი იფრინოს, ანუ იქ, სადაც ჩავა, მონეტა უნდა ააგდოს და უკან დაბრუნდეს. როგორია?

არა, კოჭის ტრავმის გამო ბექჰმა, შესაძლოა, ახალ გუნდში თავისი დებიუტი მართლაც გადადოს — მოგეხსენებათ, „ლოს ანჯელეს გალაქსი" „ჩელსის" უნდა შეხვდეს და სწორედ ეს გახლდათ ინგლისელის ამერიკელ ფანთა წინაშე წარდგენად ჩაფიქრებული — მაგრამ 250-მილიონიანი კონტაქტი ისეთი რამაა, სულ რომ კოჭლობით მოსწეოდა ჩასვლა, დღეს დენვერში უნდა ყოფილიყო, სადაც MLS-ის „ოლ სტარია" დანიშნული. აქ, ამ „ოლ სტარზე" ბექემის ამოცანა მარტივია, თამაშის დაწყების წინ მონეტა უნდა ააგდოს და თუ დრო დარჩება, საკუთრივ მატჩსაც დაესწროს, თუ არა და, ისევ აეროპორტისკენ გაქანდეს, რათა ორსაათნახევარი იფრინოს ლოს ანჯელესში დასაბრუნებლად.

და თქვენ გგონიათ, რომ აქ მთავარი დისკომფორტი მგზავრობაა? არამც და არამც. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ბექჰი დარწმუნებულია, რომ ამ მგზავრობის მერე მისი ტრავმა (რომელიც ინგლისელმა ნახევარმცველმა 6 ივნისს ესტონეთის ნაკრებთან შეხვედრაში მიიღო) მნიშვნელოვნად გამიზეზდება. რატომ არის ასე დარწმუნებული? ნუ გაოცდებით და, ბექემმა გასულ ხუთშაბათს ლონდონიდან ლოს ანჯელესში ფრენის გამო გაიუარესა ფეხი. დიახ, ევროპაში მისი ბურთაობა ეჭვქვეშ არ დადგებოდა, ამერიკაში ერთმა გადაფრენამ კი ფეხბურთელის მრავალტანჯული კოჭი ისე გაუსივა, რომ, დღეს, როგორც ხედავთ, მდგომარეობა სავალალოა. და ამას დენვერში ფრენა უნდა დაემატოს.

ასე რომ, „გალაქსის" პირველი იმედგაცრუება ელის — გუნდმა უკვე გაყიდა „ჩელსისთან" მატჩზე დასასწრები 27 ათასი ბილეთი და როგორ გინდა, ახლა ამ ხალხს უთხრა, რომ 259 მილიონად ღირებული ვარსკვლავი, რომლის სანახავადაც მათ ფული გადაიხადეს, არ ითამაშებს. ამბობენ, რომ ამ საშინელებიდან ერთადერთი გამოსავალი კოჭგასივებული ბექჰის მოედანზე 10 წუთით გამოჩენაა.

„ლოს ანჯელეს გალაქსის" შეფი ფრენკ იალოპი, პრობლემის მიუხედავად, ღირსეულად ცდილობს თავის წამოჩენას:

„დევიდის კოჭი თვითმფრინავში იმაზე მეტად გასივდა, ვიდრე ჩვენ ველოდით. ამასთან დაკავშირებით დღეს ჩვენ კომერციულ დაბრკოლებაზე არ ვწუხვართ, ჩვენი პრობლემა სხვაა: ვაი, თუ მდგომარეობა გაუარესდეს. დიახ, არ არის გამორიცხული, რომ „ჩელსისთან" ბექემმა ვერ ითამაშოს, მაგრამ, თუ შევატყობთ, რომ ჯანმრთელობის გაუარესებასთან გვაქვს საქმე, ამას არც დავამალებთ. ჩვენ მას ხანგრძლივი ტრავმის რისკის წინაშე ვერ დავაყენებთ. თუ დევიდმა პარასკევს ჩვენთან ერთად ივარჯიშა, ესე იგი, შაბათს „ჩელსის" წინააღმდეგ ითამაშებს და ამ შემთხვევაში ჩვენ ყველანი ძლიერ გავიხარებთ".

**ბაკურა ძიძია**

# ყველაფერი იქნება OK
## ტერიმ ფანობა დაამშვიდა



„ჩელსის“ კაპიტანი ჯონ ტერი დარწმუნებულია, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე კლუბთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

ბევრჯერ გვითქვამს, რომ ტერის ამჟამად მოქმედ კონტრაქტს ვადა ჯერ კიდევ ორი წელიწადი აქვს, ხოლო მისი მოლაპარაკებანი ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მისი გაზრდილი მოთხოვნის გამო ყოვნდება — კაპიტანი ისეთ ხელფასს ითხოვს, რომლის გადახდაც ლონდონელებს არ უნდათ.

ამჟამად ტერი „ჩელსისთან“ ერთად კალიფორნიაშია, სეზონისწინა შეკრებაზე, იქვეა მისი აგენტი აარონ ლინკოლნიც, რომელიც ახალ კონტრაქტთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს აწარმოებს.

„მოლაპარაკებები კარგად მიდის და დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მალე მოგვარდება — თქვა ჯონ ტერიმ — რაც „ჩელსი“ ამერიკაშია შეკრებაზე, პროცესი არ შეწყვეტილა და წინაც აშკარად გადაიდგა ნაბიჯი“.

ამერიკაში „ჩელსიმ“ ამხანაგური მატჩი გამართა „სანჯონ ბლუვინგზთან“ და 1:0 მოიგო. ტერიმ, რომელიც ამ შეხვედრაში მონაწილეობდა და დაცვაში გლენ ჯონსონთან იყო წყვილში, უარყო ადრე გავრცელებული ხმები, თითქოს მან მოლაპარაკებები ჩაშალა.

„ასეთ პროცესებს დრო სჭირდება — განმარტა მან — გასული სეზონი რომ მთავრდებოდა, მე ვთქვი, რომ ფეხბურთელები მხოლოდ ფეხბურთზე უნდა ვყოფილიყავით მობილიზებულნი და ნებისმიერ სხვა საკითხზე ყურადღება არ უნდა გაგვქცეოდა. ჩვენ ფეხბურთის ასოციაციის თასი მოვიგეთ, რის მერეც მინდოდა ყველასგან შორს, ჩემს ოჯახთან ერთად დამესვენა, ახლა კი დავბრუნდი და ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებებიც ისევ განვაახლე. ახლა დეტალებიღა დარჩა შესათანხმებელი. თან აქ იმდენად ჩემი მონაწილეობა აღარ არის საჭირო, რამდენადაც ჩემი და „ჩელსის“ იურისტების“.

**ბაჩუნა ძიდია**

# კარგი ბიჭია დიდიე
## ნუ ხოცავთ ხალხს კარს უკან

**დიდიე დროგბაზე** გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით: თუ დიდ ფულს შემომთავაზებენ, სხვა გუნდში გადავალო.

დღეს ისტორია გრძელდება — „ჩელსიში“ კოტდივუარელ ფარსკვლავს უთხრეს, რომ უჯობს, შარშანდელი შედეგის, სეზონში 33 გოლის გაუმჯობესებაზე იფიქროს, სხვაგან გადასვლაზე საუბარს კი შეეშვას.

შეგახსენებთ, რომ დროგბათი „ბარსელონა“ და „პორტუ“ არიან დაინტერესებულნი, ამ ორის გარდა კი „მილანიც“ არ იქნებოდა მისი ყიდვის წინააღმდეგი.

„ჩელსიში“ დიდიე დროგბას ხელფასი კვირაში 90 ათასი გირვანქაა.

აი, ამ თემასთან დაკავშირებით მიმართეს ჟურნალისტებმა „ჩელსის“ პორტუგალიელ მწვრთნელ ჟოზე მაურინიუს, რომელმაც ასე უპასუხა:

„დროგბა ყოველთვის ჩვენი უმნიშვნელოვანესი ფიგურათაგანი იყო და ფაქტია, ვინც რა უნდა თქვას, მომავალ სეზონშიც ასე იქნება. გასულ ჩემპიონატში ის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. დროგბა გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონთა ლიგაშიც. ძნელია, დღევანდელ ფეხბურთში იპოვო ვინმე, ვინც მას აჯობებს, როგორც თავდამსხმელი და იმავდროულად, როგორც გუნდური მოთამაშე“.

როგორც ამ პასუხიდან ხედავთ, დროგბას წინა დღის განცხადება, კარგ ფულად სადმე წასვლასთან დაკავშირებით, ლონდონელებს გულთან მაინც და მაინც ახლოს არ მიუტანიათ. ერთი სიტყვით, მაურინიუმ დროგბაზე საუბარი მალევე მოათავა და მიკაელ ესიენზე გადავიდა: „მიკაელი ისეთი ღონიერი ადამიანია, რომ 90 წუთი მისთვის საკმარისი დატვირთვა არ არის. გარდა ამისა, ის იხვეწება — ესიენი გაცილებით უკეთ შედის საჯარიმოში და გაცილებით უკეთ უმიზნებს კარს. ხომ გახსოვთ, პირველ სეზონში ის კარსუკანა ტრიბუნაზე მაყურებელს ხოცავდა, ახლა კი ასე აღარ არის. ერთი სიტყვით, ესიენს გოლებიც გააქვს და ვარჯიშებზეც გაცილებით უკეთესად გამოიყურება. მოკლედ, მისი ძლიერი დარტყმა ის იარაღია, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ“.

მომავალ სეზონში „ჩელსი“ შემტევ განლაგებაზე, 4-3-3-ზე დაბრუნებას აპირებს და ამ წყობაში ნახევარდაცვაში ესიენის ყოლა საგანგებო მნიშვნელობას იძენს.

ისევ მაურინიუ: „ამ სეზონში, თუნდაც ტრავმები მოგვეძალოს, არა მგონია, მიკაელის დაცვაში დაწევა დამჭირდეს. დარწმუნებული ვარ, ის, როგორც ნახევარმცველი გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს გუნდს“.

აღსანიშნავია, რომ მაურინიუ ამ ზაფხულს განაში იყო და იქ ქველმოქმედებით დაკავებული ესიენი ხელახლა აღმოაჩინა: „მიკაელი იმ მიზეზთაგანია, რომლის გამოც მე „ჩელსიში“ აგერ უკვე მეოთხე სეზონია ვჩერდები და მინდა კიდევ დიდხანს დავრჩე. ეს ხალხი პროფესიონალია, მათ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ და მათთან ყოველდღიური ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა. ისინი სიამოვნებით მუშაობენ და წარმატებული გუნდის ბირთვს ქმნიან“.

**ბაჩუნა ძიდია**



ჟოზე მაურინიუ დიდიე დროგბას არსად უშვებს




კარლოს ტევესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქონელი მანჩესტერშია
## ვაი კარლოსის პატრონებს!

**უეინ რუნიმ** თქვა, ერთი სული მაქვს, კარლოს ტევესი „მანჩესტერ იუნაიტედში“ როდის გადმოვა და ბურთს ერთად როდის გავაგორებთო.

საქმეც სწორედ „იუნაიტედში“ გადასვლაა, თორემ ისე, არგენტინელი ფორვარდი უკვე მანჩესტერშია — სამშაბათ საღამოს ჩაფრინდა. გახსოვთ, მანჩესტერელები მის სამედიცინო შემოწმებაზე გაყვანას და კოტრაქტის გაფორმებას სამშაბათსვე რომ იმედოვნებდნენ? როგორც გაირკვა, ალექს ფერგიუსონსა და მის კოლეგებს ოპტიმისტური განცხადებები ცოტა ნაადრევად გაუკეთებიათ, რადგან ტევესს ექიმების მონახულებამდე მოცდა უწევს. ერთი სიტყვით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „კოპა ამერიკას“ დამარცხებული ფინალისტის ყოფილი გუნდი „ვესტ ჰემი“ ვერ მორიგდნენ.

პრემიერლიგის ორ კლუბს შორის მოლაპარაკებები საკუთრივ პრემიერლიგის ოფისში გაიმართა, იქიდან გამოსულმა ვესტჰემელთა პრესატაშემ კი თქვა: „კარლოს ტევესის საქმესთან დაკავშირებით ვერაფერზე შევთანხმდით“.

ამის მიუხედავად, მანჩესტერელები, ბუნებრივია, იმედოვნებენ, რომ საბოლოოდ ყველაფერი მათ სასარგებლოდ გადაწყდება და არგენტინელს გადაიყვანენ. მეტიც, ისინი გუშინაც აპირებდნენ ტევესის ექიმებისთვის გადაცემას, მაგრამ ეს როგორ უნდა გააკეთონ, გაუგებარია. წესის თანახმად, სამედიცინო შემოწმება მხარეებს შორის გარიგების გარეშე ყოვლად შეუძლებელია.

რუნი: „თუ ყველაფერი გამოვიდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამდიდრდება და მეც დიდი მოუთმენლობით ველი, როდის ვითამაშებ ტევესთან ერთად წყვილში. გასული სეზონის მეორე ნახევარში ტევესმა „ვესტ ჰემში“ საოცრად ითამაშა. სწორედ მან დატოვა ლონდონელთა გუნდი პრემიერლიგაში“.

ბუნებრივია, დიდი მოლოდინია მანჩესტერელ ფანებს შორისაც. წარმოიდგინეთ, ტევესის შეძენის შემთხვევაში მათ გუნდს თავდასხმაში რუნი, კრიშტიანუ რონალდუ და ხსენებული არგენტინელი ეყოლება, ასეთ წინა ხაზს კი, როგორც პრემიერლიგაში, ასევე ევროპაში, ბარე ორი გუნდი ვერ გაუძლებს.

ისევ რუნი: „ზუსტად ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ ავეწყობით, მე ხომ მის მხარდამხარ არასდროს მითამაშია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პრობლემა არ გვექნება. ტოპ-ფეხბურთელები იმიტომაც არიან ტოპ-ფეხბურთელები, რომ ისინი ერთმანეთის სტილს ნებისმიერ შემთხვევაში აუღებენ ალღოს და კარგი პარტნიორობაც გამოუვათ. ჩვენც სწორედ ასე მოვიქცევით“.

და მაინც, რაზე ვერ შეთანხმდნენ „მანჩესტერი“ და „ვესტ ჰემი“? ფულზე. ლონდონელები თავიანთ ფეხბურთელში ისეთ თანხას ითხოვენ, რომლის გადახდაც მანჩესტერელებს არ სურთ. დავაზუსტოთ: ლონდონელები ამტკიცებენ, რომ ტევესს მათთან სამწლიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული და, შესაბამისად, ნებისმიერი ვალდებულება ფეხბურთელზე ეკონომიკურ უფლებათა მფლობელის კია ჯურაბჩიანის წინაშე გაბათილებულია. სხვა სიტყვებით, ეგ ბიჭი ჯურაბჩიანისგან კი არა, ჩვენგან უნდა იყიდოთო. ჯურაბჩიანი, თავის მხრივ, იძახის, ტევესში ფული მე უნდა გადამიხადოთო. ამ გაწამაწიაში „მანჩესტერს“ ნამდვილად არ უნდა ერთი „საქონელი“ ორი კაცისგან იყიდოს.

და სანამ ტევესის გამო ინგლისში ასეთი ამბავია ატეხილი, საკუთრივ მანჩესტერელთა გუნდი აზიაშია, ტურნეზე და პირველ შეხვედრაში, ტოკიოში, „ურავა რედ დაიმონდზთან“ 2:2 ითამაშა. ამ შეხვედრაში ვერ მოეწყო ოუენ ჰარგრივზისა და ნანის დებიუტი — ისინი დაშავებულები იყვნენ.

ალექს ფერგიუსონი: „ოუენს ცოტა მუხლი აწუხებს, ნანის კი პორტუგალიის ნაკრებში ნატკენი კოჭი სტკივა“.

ორივე ახალწვეული, სავარაუდოდ, ორშაბათს მაკაუში „შენზენთან“ ითამაშებს.

**ბაჩუნა ძიდია**

# იმაზე კარგი ვარ, ვიდრე გგონიათ
## ხოსე ანტონიო რეიესისთვის სხვა გუნდი არ არსებობს

თავიდან ლონდონის „არსენალი“ ხოსე ანტონიო რეიესის სანაცვლოდ მადრიდის „რეალს“ 20 მილიონ ევროს სთხოვდა, ესპანელები კი მხოლოდ 7 მილიონს იმეტებდნენ. შემდეგ „მეთოფეები“ რეიესის 14 მილიონ ევროდ გაყიდვას დათანხმდა მაშინ, როცა „რეალი“ მხოლოდ 10 მილიონს იხდის.
მიუხედავად იმისა, რომ რეიესი „რეალის“ ახალი მწვრთნელის ბერნდ შუსტერის ერთ-ერთი ფავორიტია, სამეფო თეთრები ფორვარდში ზედმეტი ფულის გადახდას არ აპირებენ...
ესპანური გაზეთები წერენ, „არსენალი“ და „რეალი“ შეთანხმებისთის არიან „განწირულნიო“.
ხოსეს „ასი“ გაესაუბრა...



— თავს როგორ გრძნობთ?

— შესანიშნავად. არდადეგები დამთავრდა და წინ დიდ შრომა მელის. ზაფხული კი ჯერ არ დასრულებულა და სიცხეში მუშაობა, მოგეხსენებათ, არცთუ სასიამოვნოა.

— ავსტრიულ ირდნინგში, სადაც „რეალი“ შეკრებას გაივლის, ტემპერატურა მაღალი არ იქნება. თქვენ თუ იქნებით ავსტრიაში „სამეფო გუნდთან“ ერთად?

— ჩემი უპირველესი სურვილიც ეს არის. მინდა, გითხრათ, რომ რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე „რეალში“ გადასასვლელად.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ არსენ ვენგერს ვუთხარი, „რეალის“ გარდა სხვა არც ერთი გუნდის ფორმას არ ჩავიცმევ-მეთქი. დანარჩენი კი ჩემზე არაა დამოკიდებული, საქმე „არსენალმა“ და „რეალმა“ უნდა გადაწყვიტონ. თუმცა ისინი, როგორც მგონია, შეთანხმებას ვეღარ გაექცევიან.

— აღელვებული ხართ თუ სიმშვიდეს ინარჩუნებთ?

— ძალიან მშვიდად ვარ. ვცდილობ, კარგად დავისვენო. სატრანსფერო ამბებს ჩემი წარმომადგენლები მატყობინებენ. სხვა რაღა დამრჩენია, საქმის გადაწყვეტას ველოდები.

— „რეალის“ ბევრ გულშემატკივარს გაძლიერებული „ბარსელონა“ აშინებს...

— სამაგიეროდ, „რეალიც“ სუპერგუნდად ყალიბდება.

— ტიერი ანრის „კამპ ნოუზე“ გადასვლაზე რას გვეტყვით? თქვენ ფრანგს შესანიშნავად იცნობთ...

— „ბარსელონასთვის“ ეს ძალიან კარგი ტრანსფერია. ანრი საოცარი ფეხბურთელია. როცა ინგლისში ჩავედი, პირველად ყველაზე მეტად ტიერის თამაშით მოვიხიბლე. თან გარდა ბრწყინვალე ფეხბურთელობისა, ძალიან მეგობრული, კარგი ადამიანია, რომელმაც იცის, გუნდური სულისკვეთება რასაც ნიშნავს. „ბარსამ“ სწორი ნაბიჯი გადადგა.

— „რეალი“ კი სხვა ვარსკვლავის, არიენ რობენის მოყვანას აპირებს...

— ისიც დიდი ფეხბურთელია. რობენის წინაამდეგ ინგლისის ჩემპიონატში მითამაშია და დავრწმუნდი, რომ საოცრად სწრაფია. რობენის დაჭერა თითქმის შეუძლებელია.

— ვის ჰგავს სტილით?

— ხოსე ანტონიო რეიესს... მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ერთად თამაშს ვერ მოვახერხებთ. რობენს შეუძლია, მეტოქეს მარჯვენა ფლანგიდანაც შეუქმნას ხიფათი.

— გეტყობათ, ოპტიმისტურად ხართ განწყობილი...

— კიდევ ბევრი რამ უნდა დავამტკიცო მადრიდის „რეალში“. იმაზე უფრო კარგი ფეხბურთელი ვარ, ვიდრე ხალხს ჰგონია.

— რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რომ „რეალი“ წლეულს უკანა ხაზის გაძლიერებას ყველაზე მეტად აქცევს ყურადღებას?

— ფაბიო კაპელოსთანაც კი, რომელსაც დაცვითი ფეხბურთის მოყვარულად იცნობენ, გასულ სეზონში საკუთარ კარში მეტისმეტად ბევრი გოლი მივიღეთ. ბერნდ შუსტერი პირიქით, შემტევი თამაშის მოყვარულია, მის „ხეტაფეს“ კი მაინც ყველაზე ნაკლები გოლი გაუტანეს. დღეს გუნდის ჩამოყალიბება დაცვიდან იწყება.

— შუსტერზე რას ფიქრობთ?

— მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია.

# რობერტო აიალა: ჩემი დრო წავიდა




AFP

**არგენტინელმა** რობერტო აიალამ სანაკრებო კარიერა 115 მატჩით, საკუთარ კარში გატანილი გოლით და „კოპა ამერიკას“ ფინალში წაგებით დაასრულა.

„ეს გადაწყვეტილება „კოპას“ დაწყებამდე მივიღე — თქვა არგენტინელთა 34 წლის კაპიტანმა — ვფიქრობ, რომ ჩემი თაობის დრო დასრულდა. სანაკრებო ფეხბურთს ბევრი ენერგია მიაქვს. ახლა მხოლოდ კლუბში გავაგრძელებ თამაშს და ვიმედოვნებ, რომ რაიმე ჯილდოს მოვიგებ“.

აიალას დებიუტი 1994 წლის ნოემბერში ჩილესთან მატჩში შედგა. გასულ თებერვალს მან საფრანგეთთან შეხვედრაში დიეგო სიმეონეს სანაკრებო რეკორდი (106) გაუთანაბრა — დაამხო.

იგი რამდენიმე დღის წინ „ვილიარეალიდან“ „სარაგოსაში“ გადავიდა. გუშინ კი ოფიციალური პრეზენტაციაც ჰქონდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რას კადრულობთ?!

**„ქოვენთრი“** გაბრაზებულია „იუვენტუსზე“. რადგან 31 ივლისს ამხანაგურ მატჩზე ტურინული კლუბისგან [illegible] ადგილი ადრევე შეთანხმებული იყო, მაგრამ „იუვეს“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ გადაიფიქრა, რითაც „ქოვენთრის“ დირექტორის რისხვა გამოიწვია.

„ყველაფერზე მორიგებულნი ვიყავით და „იუვენტუსისგან“ ასეთი საქციელი შეურაცხმყოფელია. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი ასე არ უნდა იქცეოდეს“ — თქვა პოლ ფლეტჩერმა.

## ჩამოხვალ და გნახავ

**„მანჩესტერ სიტის“** მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს „პალერმოდან“ მარკ ბრეშიანოს ყიდვა უნდა. ავსტრალიელი ნახევარმცველი ამჟამად ნაკრებშია და აზიის თასზე თამაშობს.

ბრეშიანოს რამდენჯერმე სურდა ინგლისში გადასვლა და ალბათ ახლა შანსს არ გაუშვებს. იგი იტალიაში 1999 წლიდანაა. „პალერმომდე“ „ემპოლში“ და „პარმაში“ იყო.

ერიკსონი ფეხბურთელს აზიიდან დაბრუნებისთანავე შეხვდება.

## ანდრადე სამად გაჭრეს

**„იუვენტუსმა“** ოფიციალურად გააფორმა ჟორჟე ანდრადეს კონტრაქტი. პორტუგალიელმა მცველმა ერთი კვირა გაატარა ტურინში, პირად ჯამაგირზე მოურიგდა კლუბს და სამედიცინო შემოწმება გაიარა, სამშაბათს საღამოს კი ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

„დეპორტივო“ ანდრადეში 6 მილიონ 700 ათას გირვანქას სამ ნაწილად მიიღებს.

## მატერაცი გატუზოს მისდევს

**„ინტერის“** მცველმა მარკო მატერაციმ განაცხადა, რომ მომავალ სეზონში მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება: „ეს ჯილდო არ გვაქვს და ყველანი საამისოდ ვიბრძოლებთ. თუ მოვიგებ, ჩემს მეგობარ ჯენარო გატუზოს გავუტოლდები“.

წინა სეზონში „ვალენსიასთან“ მატჩში ჩხუბის გამო „ინტერს“ ჩემპიონთა ლიგის საწყის შეხვედრებში ბურდისო, მაიკონი, კორდობა და კრუზი დააკლდებიან.

## ესტონეთი ვიგოს ჩააბარეს

**ესტონეთის** ნაკრების მწვრთნელად დანიელი ვიგო იენსენი დანიშნეს და ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან ჰოლანდიელი იელე გოესი შეცვალა, რომლის ხელშიც გუნდმა ევროშესარჩევში ზედიზედ შვიდი მატჩი წააგო.

იენსენს „სილკებორგში“, „ესბიერგში“, „ოდენსეში“, „ვიბორგსა“ და „მალმიოში“ უმუშავია. იგი მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იყო დანიის ნაკრებში, რომელმაც 1992 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

ვიგო იენსენის დებიუტი 22 აგვისტოს ანდორასთან შესარჩევ მატჩში შედგება.

## ღონიერი ეტუპუ

**„სანდერლენდმა“** მეხუთე ფეხბურთელი შეიძინა — „ნორვიჩიდან“ ნიგერიელ ნახევარმცველი დიქსონ ეტუპუ მილიონნახევარ გირვანქად იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

პრემიერლიგაში დაბრუნებული გუნდის მწვრთნელმა როი კინმა განაცხადა: „ეტუპუ კონკურენციას გააძლიერებს. იგი ღონიერი ფეხბურთელია და პრემიერლიგაში სწორედ ასეთები გვჭირდებიან“.

## გარსია მურსიაში

**პრიმერადივიზიონში** ალზევებულმა „მურსიამ“ მადრიდის „რეალიდან“ ერთი წლით წაიყვანა ურუგვაელი პაბლო გარსია.

30 წლის ნახევარმცველი გასულ სეზონში „სელტაში“ იყო განათხოვრებული, „რეალმა“ იგი 2005 წელს „ოსასუნასგან“ 4 მილიონ 500 ათას ევროდ იყიდა და „სელტაში“ წასვლამდე 22 მატჩში ათამაშა.

## კაპელო და ულიე რუსულად

**რუსული** მედიის ცნობით, მომავალ სეზონში მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელად, შესაძლოა, ფაბიო კაპელო ან ჟერარ ულიე დაინიშნოს. „ლოკოს“ პრეზიდენტი იური სიომინი დაუკავშირდა კაპელოს შვილს პიერფილიპოს, რომელიც მამის საქმეებს მართავს. იტალიელმა უთხრა სიომინს, რომ მამამისს რუსეთში მუშაობა ჯერ არ აინტერესებს და თუ რამეს მოიფიქრებს, პიერფილიპო სიომინთან მოლაპარაკებას ზამთარში განაახლებს. ჟერარ ულიემ კი პრეზიდენტს განუცხადა, რომ ისვენებს და წლეულს სამწვრთნელო კარიერის განახლებას არ აპირებს.

ულიე გასული სეზონის შემდეგ წავიდა „ლიონიდან“.

## ოპერატორი საჰაერო ტუალეტში

**ბრაზილიის** ნაკრების ფორვარდმა ვაგნერ ლავმა „კოპა ამერიკას“ მოგება თვითმფრინავში გართობით აღნიშნა.

მოსკოვის ცსკა-ს მეგოლემ ვენესუელადან სახლში მიმავალ ჟურნალისტებს დაძინება რა აღირსა — ჰაერში დაუსრულებლად ხუმრობდა და ბოლოს ერთ-ერთი ტელეკომპანიის ოპერატორი ტუალეტშიც კი გამოკეტა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ხელშეუხებელი და რეალისტი კანავარო

## არც იუვე, არც ჩელსი. რეალი საუკეთესოა!



ფაბიო კანავაროს აგენტის თქმით, მისი კლიენტი კიდევ ერთი წლით მაინც დარჩება „რეალში".

გაეტანო ფედელის ეს განცხადება მოჰყვა ბოლო დროს განახლებულ მითქმა-მოთქმას, იტალიის ნაკრების კაპიტანი „იუვენტუსში" ბრუნდებაო — ახლახან თავად ფეხბურთელმაც თქვა, ტურინულ გუნდში დაბრუნება ურიგო არ იქნებოდაო.

გაეტანო ფედელი: „ფაბიოს მოსწონს მადრიდი და იქაური ვითარება. მან „რეალთან" ერთად უკვე მოიგო პრიმერადივიზიონი, რითაც დააგვირგვინა თავისი ტრიუმფატორული წელიწადი. ნამდვილად არა მგონია, იგი წავიდეს".

შევახსენებთ იმასაც, რომ „იუვენტუსის" რამდენიმე წარმომადგენელმა, მათ შორის, გენერალურმა დირექტორმა ჟან-კლოდ ბლანმა თქვა, კანავარომ თავისი არჩევანი მაშინ გააკეთა, როცა სერია B-ში დავქვეითეს და გუნდი დატოვაო...

„არანაირი პრობლემა არ არის ფაბიოსა და „იუვენტუსს" შორის. მას კვლავ ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს კლუბთან და თავის ყოფილ თანაგუნდელებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ფაბიოს სურს, თავის ტიტულებს ჩემპიონთა ლიგაც დაუმატოს. ახლა კი ამის რეალური შანსს „რეალზე" მეტად ორიოდ გუნდი თუ მისცემს" — თქვა ფედელმა.

33 წლის მცველის აგენტმა ისიც დაადასტურა, რომ კანავაროს გადაბირება „ჩელსის" სურს. ლონდონელებს „რეალისთვის" წინადადებითაც მიუმართავთ.

„დიახ, „ჩელსი" შეეხმიანა „რეალს". ბურთი მადრიდელთა ხელშია. ჩვენ კი არ გვავიწყდება, რომ „რეალი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. წავიკითხე „სამეფო გუნდის" ახალ მწვრთნელ ბერნდ შუსტერის კომენტარი, რომელშიც იგი ამბობს, კანავარო ხელშეუხებელიაო. ეს კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც, ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ ფაბიო, სულ მცირე, კიდევ ერთ სეზონს გაატარებს „სანტიაგო ბერნაბეუზე" — დასძინა ფედელმა.

**კოკი კანდელაკი**

# მილანმა პატოს და ბაპტისტას გახედა

## ეტოო საბოლოოდ გამოირიცხა

იტალიური „მილანი" მზად არის, სამუელ ეტოოში 42 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ „ბარსელონამ", კერძოდ კი, კატალონიელთა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კიდევ ერთხელ განაცხადა, ეტოო არ იყიდებაო.

აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, „როსონერი" ახლა ბრაზილიელებზე — ახალგაზრდა ალეშანდერ პატოსა და გამოცდილ ჟულიო ბაპტისტაზე გადაერთო.

„კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეტოო არ იყიდება. მომავალ სეზონში „ბარსელონას" თავდასხმას ოთხი ვარსკვლავი წარმოადგენს — ეტოო, ტიერი ანრი, რონალდინიო და ლიონელ მესი" — თქვა ლაპორტამ.

ტრანსფერების ექსპერტი, ფიფას აგენტი ერნესტო ბრონძეტი: „ძალიან ეჭვი მეპარება, ეტოო „მილანში" გადავიდეს. უბრალოდ, „ბარსელონას" არ სურს კამერუნელის გაყიდვა".

პატოს კი „მილანს" დიდი ხანია, უკავშირებენ, მაგრამ იგი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თანაც მისთვის „რეალი", „ჩელსი" და „ინტერიც" იბრძვიან.

რაც შეეხება ბაპტისტას, მან „კოპა ამერიკაზე" საკმაოდ კარგად ითამაშა და ფინალში არგენტინას მშვენიერი გოლიც გაუტანა. იგი გასულ სეზონში იჯარით „არსენალში" თამაშობდა და ახლა კვლავ „რეალის" საკუთრებაა.

„როსონერიში" გადასვლის შემთხვევაში შემტევი ნახევარმცველი კაკას თამამად წინ წასვლის საშუალებას მისცემს. თანაც, „სან სიროზე" მას ბევრი თანამემამულე დახვდება.

**გიორგი კაკაბაძე**



ჟულიო ბაპტისტა

# რანიერი და კიელინი ერთმანეთს წაეკიდნენ



„აძურინის" კაპიტანი და „იუვენტუსის" მცველი ჯორჯო კიელინი რომ ტურინელთა ხელმძღვანელობაზე განაწყენდა, უკვე გაუწყეთ.

კიელინის თქმით, მას და სხვა ახალგაზრდებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. 22 წლის ფეხბურთელს ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს, გაუმჯობესებული პირობებით და ამბობს, მომავალ სეზონში აქ სკამზე დასაჯდომად არ დავრჩებიო.

მოგვიანებით, „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ კიელინი გააკრიტიკა — ასეთ რაღაცებზე საჯაროდ არ უნდა ისაუბრობდეს, ცუდად მოიქცაო.

როგორც ჩანს, კიელინისა და რანიერის ურთიერთობა თავიდანვე არ აეწყო და მწვრთნელის კრიტიკამ ფეხბურთელი კიდევ უფრო გააბრაზა. მისი აგენტის, დავიდე ლიპის თქმით, კიელინი სიამოვნებით განიხილავს ინგლისური „ლივერპულის" წინადადებას, თუ, რა თქმა უნდა, მერსისაიდელები გადაწყვეტენ ოფიციალური შეთავაზების გაკეთებას.

„ბუნებრივია, თუ ჯორჯოს შეზღუდული დროით თამაშს შესთავაზებენ, იგი სხვა გუნდების წინადადებებს განიხილავს. მისით „ლივერპულია" დაინტერესებული და ეს ბრწყინვალე ვარიანტი იქნება, თუ მერსისაიდელები ოფიციალურად მოგვმართავენ" — აღნიშნა ლიპიმ.

„ტუტოსპორტის" ცნობით კი, „ლივერპული" მზადაა, კიელინიში 7,5 მილიონი ევრო გადაიხადოს, მაგრამ „იუვენტუსი" 3 მილიონით მეტს ითხოვს.

**გიორგი კაკაბაძე**



რადოსლავ კოვაჩი

# ინტერის ორი მიზანი: კოვაჩი და ხიმენესი

მილანის „ინტერი" უახლოეს დღეებში, შესაძლოა, ორი ფეხბურთელით გაძლიერდეს — მოსკოვის „სპარტაკის" ნახევარმცველ რადოსლავ კოვაჩსა და ლაციოელ ლუის ხიმენესს საკმაო ხანია, „ნერაძურის" უკავშირებენ.

„ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ „ინტერის" დარი გუნდი ჩემით დაინტერესდებოდა. ეს ახდენილი ოცნებასავითაა და თავს ბედნიერად ვგრძნობ. როცა ჩემმა აგენტმა დამირეკა და ეს ამბავი მაცნობა, არც დავიჯერე, ხუმრობა მეგონა. „ინტერისთვის" უარის თქმა შეუძლებელია. მზად ვარ, ამ გუნდში ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო. თუმცა ჯერ მილანელები „სპარტაკს" უნდა შეუთანხმდნენ, ვისთანაც კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს. მე თავს მოსკოვშიც მშვენივრად ვგრძნობ" — თქვა 27 წლის რადოსლავ კოვაჩმა.

რაც შეეხება ლუის ხიმენესს, აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, ჩილელის „ინტერში" იჯარით გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. 23 წლის შემტევ ნახევარმცველს ორშაბათს სამედიცინო შემოწმებაც გაუვლია და ახლა კონტრაქტის გაფორმებაღა რჩება.

ლუის ხიმენესი სანახევროდ სერია C-ს ბინადარ „ტერნანას" საკუთრებაა.

**კოკი კანდელაკი**

## აზიის თასი 2007

**C ჯგუფი. III ტური**

მალაიზია : ირანი

უზბეკეთი : ჩინეთი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| ირანი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| მალაიზია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | 0 |

**D ჯგუფი. III ტური**

ინდონეზია 0:1 სამხ. კორეა

ს. არაბეთი 4:0 ბაჰრეინი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. არაბეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| სამხ. კორეა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ინდონეზია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბაჰრეინი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი საქმე მარტო გოლი არ არის

„ატლეტიკოდან“ ფერნანდო ტორესი წავიდა, თუმცა მადრიდელთა კლუბმა ახალი ვარსკვლავი, ურუგვაელი დიეგო ფორლანი შეიმატა. სამხრეთამერიკელის პრეზენტაციას „ვისენტე კალდერონზე“ 500 ფანი დაესწრო...



AFP

— „ვილიარეალმა“ უეფას თასზე თამაშის უფლება მოიპოვა, მაგრამ თქვენ მაინც „ატლეტიკო“ ამჯობინეთ, რომელიც ინტერტოტოზე გამოდის. ასე რატომ გადაწყვიტეთ?

— „ატლეტიკო“ უკვე მესამედ დაინტერესდა ჩემი შეძენით. ვიცი ამ კლუბის ისტორიული მიზნების შესახებ და დიდი სურვილი მაქვს, მის შემადგენლობაში ვითამაშო. უეფას თასზე მოხვედრის შანსი ჩვენც გვაქვს. ასე რომ, ევროპა ფორლანისთვის არ დაკარგულა.

— რატომ აირჩიეთ „ატლეტიკო“ და არა სხვა კლუბი?

— ეს დიდი ისტორიის მქონე კლუბია და აქ თამაშის დაწყებაც გამოწვევაა ჩემთვის, რასაც, როგორც აზარტული პიროვნება, სიამოვნებით ვიღებ... ვეცდები, ჩემი საქმე კარგად გავაკეთო, შეფასებით კი გულშემატკივრები და პრესა შემაფასებენ.

— ხომ ხვდებით, რომ ყველა ფერნანდო ტორესს შეგადარებთ?

— ცხადია, ასეთი რამ იქნება, მაგრამ ამის გამო არ ვნერვიულობ. მე და ფერნანდო სხვადასხვა ფეხბურთელები ვართ.

— **არ გაშინებთ ის პასუხისმგებლობა, რაც დაგეკისრებათ?**

— რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, პასუხისმგებლობა სულ მაქვს. მოედანზე დაძაბული არ ვარ, პირიქით, ფეხბურთით ვერთობი და ვცდილობ, საქმე, რაც შეიძლება, კარგად ვაკეთო. ვარჯიშითაც ხომ იმიტომ ვვარჯიშობთ, რომ თამაშისას, რაც შეიძლება, მეტი უსიამოვნო სიურპრიზი ავიცილოთ თავიდან.

— **ხუან რომან რიკელმეს არ ურჩიეთ, ისიც „ათლეტი“ გამხდარიყო?**

— მსგავსი არაფერი ყოფილა. გაზეთებმა დაწერეს, თითქოს მე რიკელმეს „ატლეტიკოში“ გადმოსვლას ვურჩიინებდი, არადა, „რომისთან“ სიტყვა არ დამიძრავს. მართალია, ვისაუბრეთ, მაგრამ მხოლოდ „კოპა ამერიკაზე“ — მე არგენტინას ვუსურვე წარმატება, მან კი ურუგვაის.

— **რამდენი გოლის გატანას ჰპირდებით ქომაგებს მომავალ სეზონში?**

— შევეცდები, რაც შეიძლება, ბევრი გოლი გავიტანო, მაგრამ რაოდენობას წინასწარ ვერ შეგპირდებით. მე გუნდური ტიპის მოთამაშე ვარ და მინდა, „ატლეტიკოს“ მარტო გოლებით კი არა, საგოლე პასებითაც დავეხმარო.

— **გუნდის მწვრთნელ ხავიერ აგირეს თუ ესაუბრეთ? „კოპა ამერიკადან“ ახლახან დაბრუნდით და ინტერტოტოს პირველ მატჩშიც არ ითამაშებთ...**

— დიახ, აგირესთან ვილაპარაკე. რამდენიმე დღით დავისვენებ. ესპანეთის ჩემპიონატი, მერე „კოპა ამერიკა“... მართლა დაღლილი ვარ.

— **ჯერ არ გარკვეულა, რა ნომრით ითამაშებთ „ატლეტიკოში“?**

— არა, ჯერ არ ამირჩევია.

— **2007-08 წლების ლა ლიგა „ატლეტიკოსთვის“ და პირადად თქვენთვის დიდი მატჩით იწყება — პირველი შეხვედრა მადრიდის „რეალთან“ გიწევთ...**

— ჩემპიონატში ეს გუნდები ერთმანეთს მაინც უნდა შეხვედროდნენ და დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ადრე მოხდება თუ გვიან. „რეალთან“ მატჩისთვის ფიზიკურად და მენტალურად უნდა ვიყოთ მომზადებულნი. დერბი ყველა ქვეყანაში თავისი დამახასიათებელი სიძნელეებით გამოირჩევა და ორივეს, „რეალსაც“ და „ატლეტიკოსაც“ გაუჭირდებათ გამარჯვების მიღწევა.

# ლეგენდას ლეგენდამ აკოცა

**სამხრეთაფრიკელ** შავკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლ ლეგენდას ნელსონ მანდელას 89 წელი შეუსრულდა და გუშინ სამხრეთ აფრიკაში მის დასაფასებლად პელე და სამუელ ეტოო ჩავიდნენ.

აფრიკის ნაკრები დანარჩენ მსოფლიოს ნაკრებს მანდელასადმი მიძღვნილ საქველმოქმედო მატჩში ეთამაშა. პელემ კი იუბილარს აკოცა და უთხრა, რომ დედის თხოვნა შეასრულა. ხოლო ეტოომ თქვა: „ცხოვრების რთულ პერიოდებში მხოლოდ ღმერთი და მანდელა მეხმარებოდნენ, ამიტომაც ჩამოვედი აქ“.

მატჩისთვის საგანგებო ბურთი გააკეთეს, რომელსაც 46664 დააწერეს. ეს ნელსონ მანდელას ნომერი იყო ციხეში ყოფნისას.

**ვაჟა ხუციშვილი**






AFP



# დრენტემ რეალი უცნაურად ახსნა

**„რეალიდან“** რობერტო კარლოსის წასვლის შემდეგ „სამეფო გუნდმა“ თვალი ნორჩ ჰოლანდიელ მცველ დრენტეს დაადგა.

„რეალში“ მარცხენა ფლანგი დაუცველადაა დარჩენილი, „ფეიენოორდი“ კი ახალგაზრდა უკანახაზელის მადრიდულ გუნდში გადასვლის შესაძლო ფაქტს უხალისოდ ხვდება — ასაკის მიუხედავად, დრენტე ძლიერი მოთამაშეა და ჰოლანდიაში მისი ფასი შესანიშნავად იციან.

სამეფო თეთრების სატრანსფერო სამიზნეზე მყოფი დრენტე მედიასთან ფრთხილადაა, მადრიდში გაქცევის სურვილს პირდაპირ არ ამჟღავნებს. თუმცა ფეხბურთელის მეგობრები აცხადებენ, რომ დრენტემ „ფეიენოორდის“ თავკაცობას თხოვნით მიმართა, „რეალში“ გადასვლაზე სირთულეები არ შეუქმნან.

„როცა მე „ფეიენოორდში“ მოვედი და ამ კლუბთან კონტრაქტს ხელი 2011 წლამდე მოვაწერე, მაშინვე ვიცოდი ჩემი თავის ფასი და ჩავთვალე, რომ სუსტ კლუბებში არ უნდა მეთამაშა“ — ძალიან ბუნდოვანი კომენტარი მისცა დრენტემ ესპანურ „მარკას“, როცა ჟურნალისტი „რეალში“ მის შესაძლო გადასვლაზე შეეკითხა.

მიუხედავად ამისა, ესპანეთში თვლიან, რომ ჰოლანდიელი „სამეფო გუნდში“ თამაშის მანიითაა შეპყრობილი და „ფეიენოორდის“ უფროსობასაც სულ უფრო ხშირად ახსენებს ამის შესახებ.

**ლადო ხომერიკი**

## გრემიო გადარჩა

**„გრემიოს“** ფეხბურთელები სიკვდილს გადაურჩნენ. ისინი იმ აერობუს A-320-ში უნდა ყოფილიყვნენ, რომელიც გუშინ სან პაულუს აეროპორტში დაჯდომისას ბენზინგასამართ სადგურს შეასკდა და ორასამდე კაცის სიცოცხლე შეიწირა.

„გრემიოს“ წარმომადგენელმა პაულუ პელაიპემ განაცხადა, რომ გუნდი A-320-ით აპირებდა სან პაულუში ჩაფრენას და იქიდან რიოში წასვლას, სადაც ჩემპიონატის მატჩი ელოდათ, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრეს და სხვა რეისით წავიდნენ.

## პასპორტი დოს სანტოსისთვის

**„ბარსელონას“** მექსიკელი ფორვარდი, ზიზინიოს შვილი ჯოვანი დოს სანტოსი სეზონის დაწყებამდე ესპანეთის მოქალაქე გახდება. ამის შესახებ კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა.

ამჟამად მხოლოდ ოთხს — რონალდინიოს, ეტოოს, დოს სანტოსსა და იაია ტურეს არ აქვთ ევროკავშირის პასპორტი.

მას შემდეგ, რაც მექსიკელი მოქალაქეობას მიიღებს, „ბარსელონაში“ კიდევ ერთი ლეგიონერის ადგილი გაჩნდება.

დოს სანტოსი ვაჟია ბრაზილიელი ზიზინიოსი, რომელიც თავის დროზე გახდა მექსიკის მოქალაქე.

## ველას და მერიდას გათხოვება

**„არსენალმა“** ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი ესპანურ კლუბებში გაანათხოვრა. 17 წლის ესპანელი ფრანკ მერიდა, რომელიც „ბარსას“ სკოლიდან წაიყვანეს, მადრიდის „ატლეტიკომ“ წაიყვანა, ხოლო 18 წლის მექსიკელ კარლოს ველა „ლევანტეში“, „ოსასუნაში“ ან „ალმერიაში“ მივა.

ველა ორჯერ უკვე იყო განათხოვრებული — ჯერ „სელტაში“, მერე „სალამანკაში“.

## კრუზი ზედმეტია

**„ბაიერნის“** მენეჯერმა ული ჰიონესმა დაადასტურა, რომ პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი სხვა გუნდში გადავა.

მიუნხენურ კლუბს ამჟამად ხუთი თავდამსხმელი ჰყავს და 25 წლის კრუზი ზედმეტია. მისი გადაბირება „ვესტ ჰემს“ და „მანჩესტერ სიტის“ უნდათ.

„ჩვენ ოთხი ფორვარდიც გვეყოფა, რაც საკმარისზე მეტია“ — თქვა ული ჰიონესმა, როცა პარაგვაელზე ჰკითხეს.

სანტა კრუზი „ბაიერნში“ 1999 წლიდანაა და 143 მატჩში 12 გოლზე მეტი ვერ გაიტანა, თუმც ტრავმების გამო ბევრი გაუცდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

ავსტრია
ბუნდესლიგა
20 ივლისი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 1 | შტურმი-ლინცერი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 3 | ავსტრია კ-რიდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 4 | ავსტრია-ზალცბურგი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 21:30 | 5 | ტიროლი-მატერსბურგი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 19:45 | 7 | ლუცერნი-ქსამაქსი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 19:45 | 8 | თუნი-სიონი | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 9 | აარაუ-იანგ ბოიზი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| 22:15 | 10 | ბაზელი-ციურიხი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 20 | დინამო მ-ამკარი | 1.60 | 3.10 | 6.00 | 1.05 | 1.26 | 2.04 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 21 | როსტოვი-ენერგია | 2.05 | 2.70 | 4.00 | 1.16 | 1.35 | 1.61 |
| 16:30 | 22 | სატურნი-ტომსკი | 1.90 | 2.80 | 4.50 | 1.13 | 1.33 | 1.72 |
| 14:00 | 23 | სპარტაკი მ-ზენიტი | 2.45 | 3.00 | 2.75 | 1.34 | 1.29 | 1.43 |
| 18:30 | 24 | მოსკოვი-კრილია | 1.85 | 2.80 | 4.50 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 26 | ლოკომოტივი მ-ცსკა მ | 2.70 | 2.70 | 2.70 | 1.35 | 1.35 | 1.35 |
| 20:30 | 27 | ნალჩიკი-ყუბანი | 2.15 | 2.60 | 3.80 | 1.17 | 1.37 | 1.54 |
| | | ნორვეგია | | | | | | |
| | | ტიპელიგა | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 49 | სანდეფიორდი-ლინი | 2.75 | 3.30 | 2.30 | 1.50 | 1.25 | 1.35 |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 50 | ბრანი-სტაბეკი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 20:00 | 51 | ფრედრიკსტადი-ლილესტრომი | 2.95 | 3.30 | 2.15 | 1.55 | 1.24 | 1.30 |
| 20:00 | 52 | ოდ გრენლანდი-სტრომსგოდსეტი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20:00 | 53 | სტარტი-ალესუნდი | 1.80 | 3.50 | 3.90 | 1.18 | 1.23 | 1.84 |
| 22:00 | 54 | რუსენბორგი-ვიკინგი | 1.90 | 3.40 | 3.70 | 1.21 | 1.25 | 1.77 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 55 | ვოლერენგა-ტრომსიო | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 56 | მოლდე-ლოვ ჰამი | 1.40 | 4.50 | 6.00 | 1.06 | 1.13 | 2.57 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 22 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 99 | ნიუ ინგლენდი-ჰიუსტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 100 | კოლამბუსი-ტორონტო | 1.85 | 3.20 | 3.70 | 1.17 | 1.23 | 1.71 |
| 23:45 | 101 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 102 | კანზასი-კოლორადო | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 109 | ფლამენგო-პარანა | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 110 | გოიასი-გრემიო | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| 23:45 | 111 | პალმეირასი-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 20:30 | 136 | ატობე-მატერსბურგი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 137 | ბანანცი-იანგ ბოიზი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 18:45 | 139 | მკტ არაზი-გროცლინი | 6.20 | 4.30 | 1.38 | 2.53 | 1.12 | 1.04 |
| 19:00 | 140 | ზლატე მორავცე-ალმა ატა | 1.22 | 5.70 | 8.50 | 1.00 | 1.06 | 3.41 |
| 19:45 | 141 | ფლორა-ვოლერენგა | 3.40 | 3.50 | 1.85 | 1.72 | 1.19 | 1.21 |
| 19:45 | 142 | სლავენი-ტეუტა | 1.35 | 4.30 | 7.10 | 1.02 | 1.13 | 2.67 |
| 20:00 | 143 | ბეზანია-ბესა | 1.40 | 3.90 | 7.10 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| 20:00 | 144 | ჰელსინკი-ეტცელა | 1.07 | 7.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.29 |
| 20:00 | 145 | ნისტრუ -ჰონვედი | 2.90 | 3.40 | 2.10 | 1.56 | 1.21 | 1.29 |
| 19:30 | 146 | ვოივოდინა-ჰიბერნიანსი პაოლა | 1.11 | 6.50 | 13.00 | 1.00 | 1.02 | 4.33 |
| 20:30 | 147 | სლიემა-ლიტექსი ლოვ | 12.00 | 7.50 | 1.11 | 4.61 | 1.01 | 1.00 |
| 20:35 | 148 | სკონტო-დინამო მინსკი | 1.55 | 3.60 | 4.70 | 1.08 | 1.16 | 2.03 |
| 21:00 | 149 | ბ 36 ტორშავნი-ეკრანასი | 5.30 | 3.80 | 1.50 | 2.21 | 1.16 | 1.07 |
| 21:00 | 150 | ჰელსინგბორგი-ნარვა | 1.15 | 5.70 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.13 |
| 21:00 | 151 | ლილესტრომი-კ 97 | 1.02 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 20:00 | 152 | მიუპა-სტრიმური | 1.10 | 7.30 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.91 |
| 21:00 | 153 | ომონია-რუდარი პ | 1.15 | 5.50 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 3.94 |
| 19:00 | 154 | სანტა კოლომა-მაკაბი თა | 20.00 | 8.00 | 1.05 | 5.71 | 1.00 | 1.00 |
| 20:30 | 155 | მეტალურგი ლ-დინამო ბრესტი | 1.60 | 3.40 | 4.50 | 1.08 | 1.18 | 1.93 |
| 22:00 | 156 | კარმარტენი-ბრანი | 7.70 | 4.10 | 1.35 | 2.67 | 1.14 | 1.01 |
| 22:00 | 157 | გორიცა-რაბოტნიჩკი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:00 | 158 | ჰეკენი-რეიკიავიკი | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |
| 22:00 | 159 | არტმედია-ზიმბრუ | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 22:15 | 160 | ვარდარი-ანორთოსისი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:15 | 161 | ზრინსკი-პარტიზანი ბ | 5.50 | 3.60 | 1.53 | 2.17 | 1.19 | 1.07 |
| 22:30 | 162 | ბუდუჩნოსტი პოდ-ჰაიდუკი | 4.20 | 3.40 | 1.70 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 22:30 | 163 | მტკ-მიკა აშტარაკი | 1.25 | 5.20 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.15 |
| 22:30 | 164 | რილი -ჰაკა | 4.60 | 3.60 | 1.60 | 2.01 | 1.18 | 1.10 |
| 22:30 | 165 | რიდი-ნეფჩი ბაქო | 1.20 | 5.50 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.41 |
| 22:45 | 167 | დანგანონი-სუდუვა | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 168 | გლენტორანი-აიკ სოლნა | 4.80 | 3.50 | 1.60 | 2.02 | 1.20 | 1.09 |
| 22:45 | 169 | სტ.პატრიკსი ატლ-ოდენსე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:00 | 170 | ლიბერტასი-დროგედა | 10.00 | 5.10 | 1.20 | 3.37 | 1.07 | 1.00 |
| 23:00 | 171 | შიროკი ბრიეგი-კოპერი | 1.85 | 3.30 | 3.50 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:15 | 172 | კეფლავიკი-მიდტიულანდი | 5.50 | 3.50 | 1.55 | 2.13 | 1.20 | 1.07 |
| | | მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში (20) | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 198 | ჩილე 20-არგენტინა 20 | 4.50 | 3.30 | 1.65 | 1.90 | 1.20 | 1.10 |
| | | საერთაშორისო ტურნირი . კორეა | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 15:00 | 251 | ლიონი-რივერ პლეიტი | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| 15:00 | 252 | შიმიცუ-რედინგი | 3.90 | 3.30 | 1.80 | 1.78 | 1.23 | 1.16 |
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 17:30 | 185 | შალკე-კარლსრუე(ნ) | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 20:00 | 186 | ვერდერი-ბაიერნი(ნ) | 3.40 | 3.20 | 2.00 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| | | ჩოგბურთი. ATP. ამერსფურტი. გრუნტი. | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 239 | ანდრეევი-ვოლანდრი | 1.40 | | 2.40 | | | |
| 13:00 | 240 | მოია-საბალეტა. | 1.20 | | 3.20 | | | |
| 13:00 | 241 | სიმონი.-დარსისი. | 1.20 | | 3.30 | | | |
| 13:00 | 242 | სლიუტერი.-ეშოერი. | 1.80 | | 1.80 | | | |
| | | ჩოგბურთი. ATP. შტუტგარტი. გრუნტი. | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 247 | ბერდიხი-ფ ლოპესი | 1.15 | | 4.00 | | | |
| 13:00 | 248 | მონაკო-კუბეკი | 1.25 | | 3.00 | | | |
| 13:00 | 249 | ნადალი-კოლშრაიბერი | 1.01 | | 5.00 | | | |
| 13:00 | 250 | ფერერო-ხარტფილდი | 1.20 | | 3.20 | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# შილდსმა ნაკლული ნაკრებით დაიწყო



**გუშინ** საქართველოს ნაკრები ახალი მთავარი მწვრთნელითა და გვარიანი დანაკლისით შეიკრიბა. კენ შილდსი ერთი კვირის წინ გათავკაცდა ჩვენს ეროვნულ გუნდში, მანამდე კი ის გორდონ ჰერბერტის თანაშემწე იყო, რომელმაც ბერძნულ „არისთან" გააფორმა კონტრაქტი და ჩვენთვის ველარ იცლის. ისე, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ქართველებს ჰერბერტი უთავკაცებს თუ შილდსი — მთავარია, ნაკრები კარგად მოემზადოს, მაგრამ ჯერ სრული შემადგენლობის შეკრება ვერ ხერხდება.

საქართველოს ნაკრებს 8 ლეგიონერი ჰყავს, გუშინდელ ვარჯიშზე კი მხოლოდ 3 გამოცხადდა: გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი და გუნდის კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი. დანარჩენებმა ნაირგვარი მიზეზების გამო თბილისში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. სამწვრთელო შტაბიც არ იყო უდანაკლისო. თავიდან ითქვა, რომ კენ ატკინსონი თბილიში კენ შილდსს ჩამოყვებოდა, მაგრამ ნაკრების თავკაცი უასისტენტოდ გვეწვია. თუმც ამითაც არაფერი დაშავებულა, შილდსმა საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიში ჩაატარა - მას ჯერჯერობით არ სჭირდება დამხმარე, სანამ სრული შემადგენლობა არ შეიკრიბება.

აი, ისინი, ვინც გუშინ ვარჯიშზე იყვნენ:

ბესიკ ლეჟავა, ანატოლი ბოისა, ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი მარკოიშვილი, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე, ზვიად ბაბიაშვილი, კოტე ტუღუში, გიორგი შერმადინი და დავით უგრეხელიძე. ამათ 6 კაცი აკლდა: ზაზა ფაჩულია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ლაშა გამყრელიძე, ვლადიმერ ბოისა და ტაირონ ელისი. თანდათანობით ეს ბიჭები თბილისს მოაშურებენ, 22 ივლისს ხომ ნაკრების ის შემადგენლობა უნდა შეირჩეს, რომელიც ერთთვიან ევროპულ შეკრებას ბულგარეთიდან დაიწყებს.

გუშინდელი ვარჯიში საკმაოდ ხანგრძლივი და მრავლისმომცველი იყო. ტრადიციული გახურების შემდეგ შილდსმა ნაირგვარი კომბინაციებითა თუ ვარჯიშებით დატვირთა ბიჭები, ბოლოს კი მის განკარგულებაში მყოფი ათი კაცი ორ გუნდად გაყო და არაქათის გაცლამდე ათამაშა.

ერთ მხარეს ცინცაძე, გიორგი მარკოიშვილი, ლეჟავა, ბაბიაშვილი და შერმადინი მოხვდნენ, ხოლო მეორე გუნდი ტუღუშმა, ბოისამ, ნაცვლიშვილმა, გიორგი მარკოიშვილმა და უგრეხელიძემ შეადგინეს.

საკმაოდ თვალსასეირო ბურთაობა გაჩაღდა. თავიდან პირველი გუნდი ჯაბნიდა მეორეს. ცინცაძე და მანუჩარ მარკოიშვილი, რომ იტყვიან, დაფრინავდნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. მეორე შეხვედრაში კი უკვე ის გუნდი გამოცოცხლდა, რომელშიც ნაცვლიშვილი და კომპანია თამაშობდა.

ვარჯიშის შემდეგ ***კენ შილდსს*** გავესაუბრეთ, რომელიც კმაყოფილი იყო შეკრების პირველი დღით.

— საკმაოდ ნაყოფიერად ვივარჯიშეთ. მართალია, ბიჭები დაიღალნენ, მაგრამ ეს არაფერია. 2-3 დღეში ყველა ამტანი გახდება, შეკრება ხომ ფაქტობრივად დღეს დაიწყო.

**— ვის გამოარჩევდით?**

— ყველაზე მეტად გიორგი ცინცაძე მომეწონა. ამ ბიჭს ეტყობა, რომ გასულ სეზონში უქმად არ ყოფილა. მან საკმარისად მოუმატა და იმედია, პროგრესს კიდევ გააგრძელებს. ძალიან დახვეწილად ირჯება მანუჩარ მარკოიშვილიც. მას სერიოზული ტრავმა ჰქონდა და ჯერ ფორმა მესამედიდაც არა აქვს აღდგენილი.

**— რას იტყვით კაპიტანზე?**

— ვახტანგ ნაცვლიშვილი ძალიან [illegible] რომ ნაკრებს თავისი გამოცდილებით დაეხმაროს [illegible] მა. დანარჩენს ვერაფერს ვიტყვი. შეკრება დღეს დავიწყეთ და ვინ როგორ ფორმაშია, მალე გამოჩნდება.

**— რას იტყვით ჩვენი ნაკრების შანსებზე?**

— როგორც მოვემზადებით, ისეთ შედეგს მივიღებთ. თუკი ვარჯიშში სულს ჩავდებთ და არა დავიზარებთ, გადავალთ A დივიზიონში, არადა, ამის გაკეთება გაგვიძნელდება.

**— მთავარ მწვრთნელად მუშაობას ასისტენტობა ხომ არ გერჩივნათ?**

— მნიშვნელობა არა აქვს, ვინ უთავკაცებს საქართველოს ნაკრებს — მე თუ გორგონ ჰერბერტი. მე ძალიან კარგად ვიცნობ მოთამაშეებს, თითოეულის ხასიათი შესწავლილი მაქვს. მთავარი ახლა ისაა, თუ როგორ მოვემზადებით. თუკი ფორმაში არ იქნება გუნდი, მას ვერც ჰერბერტი გადაიყვანს A დივიზიონში და ვერც მე შევძლებ.

**— როდის დაასახელებთ საბოლოო შემადგენლობას?**

— 22 ივლისს ბულგარეთში მივდივართ, სადაც ოთხთა ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას. ამ დროისთვის უკვე მეცოდინება ის შემადგენლობა, რომლითაც საკვალიფიკაციო მატჩებს ვითამაშებთ.

დღეს ნაკრებს ლაშა გამყრელიძე შემოუერთდება, ხვალ კი ზაზა ფაჩულია. ნიკა ცქიტიშვილის ჩამოსვლის თარიღი დანამდვილებით არავინ იცის, თუმც უმეტესობა 22 ივლისს ვარაუდობს. დანარჩენების ჩამოსვლის თარიღი კი უცნობია.

**ირაკლი ბერტაია**

# ევროპული სკოლა დამთავრდა

## ლუის სკოლა ამერიკულ უნივერსიტეტში აბარებს



**დრაფტზე** არჩევიდან ხუთ წლისთავზე ლუის სკოლამ ევროპიდან ნბა-ში გადაბარგება ინება. ევროპული კალათბურთის არგენტინელი სუპერვარსკვლავი 2002 წლის დრაფტზე „სან ანტონიო სპურსმა" აირჩია, რამდენიმე წლის შემდეგ კი მასზე უფლება „ჰიუსტონ როკიტსს" დაუთმო, მაგრამ მთელი ეს პერიოდი სკოლა ფეხს ითრევდა ამერიკაში ჩასვლაზე და ბებერ კონტინენტზე ბურთაობას არჩევდა. აქ ის ერთ-ერთი უპირველესი იყო. 2004 წელს ის არგენტინის ნაკრებს ოლიმპიადის მოგებაში დაეხმარა. ევროლიგაშიც ერთ-ერთი უმძლავრესი მოიერიშის სახელი დაიგდო. თუნდაც 2007 წელს სკოლამ ოთხთა ფინალში გაიყვანა ესპანური ვიტორიის „ტაუ-კერამიკა" და ევროლიგის სიმბოლურ ხუთეულშიც დასახელდა. ახლა კი 206-სანტიმეტრიანი და 112-კილოგრამიანი არგენტინელი მზადაა, „ჰიუსტონში" გააგრძელოს თავისი ფერადი კარიერა.

მხარეებს არ გაუხმაურებიათ კონტრაქტის პირობები. ჩვენი ვარაუდით, სკოლა ნბა-ს ფასებით წელიწადში სულ ცოტა 4-5 მილიონი უნდა ღირდეს, იქნებ მეტიც და თუ არგენტინელი ამერიკულ მოედნებზეც ისევე მარჯვედ დატრიალდება, როგორც ევროპაში, მაშინ დიდი შანსი გაუჩნდება, „რაკეტების" დამწყებ ხუთეულში ითამაშოს ტრეისი მაკგრეიდის, იაო მინის, შეინ ბეტიეს და რაფერ ალსტონის კომპანიაში. მით უფრო, რომ სკოლა შემტევ კალათბურთში თავს წვრილ თევზების გუნდში შეჭრილი ზვიგენივით გრძნობს და „რაკეტების" ახალი თავკაცის რიკ ადელმანის საიერიშო სქემებს კარგად უნდა მოერგოს.

„კარგად ვიცნობთ სკოლას თამაშის ყაიდას და დიდი სამუშაო გავწიეთ, ჩვენს გუნდში რომ მოგვეყვანა — ამბობს ადელმანი — ის ძალიან აქტიურია მეტოქის ფარქვეშ და იაოს კარგად შეეშველება."

„მთელი ეს დრო ევროპაში ტექნიკას ვხვეწდი და პიროვნულადაც ვიზრდებოდი — ამბობს 27 წლის სკოლა — ახლა კი ვგრძნობ, რომ ნბა-ს დონეზე თამაშიც შემიძლია. ძალიან მახარებს მაკგრეიდის და მინის გვერდით თამაშის პერსპექტივა. რეალურად ისინი გაცილებით მეტად დამეხმარებიან, ვიდრე მე მათ."

ევროლიგის ბოლო სეზონში სკოლა საშუალოდ 15,5 ქულას, 5,9 მოხსნა და 2,2 პასს იხვეჭდა, რაც ევროპულ კალათბურთში მშვენიერი მაჩვენებლებია. თუ ის ნბა-შიც მიუახლოვდება ამ რიცხვებს, მაშინ უნდა ჩათვალოს, რომ წარმატებით გამოიცვალა ლიგა და კონტინენტი.

**კოტე ყორშია**

# ვრჩები!

## აცანცარდა ზორბა ზო



**„მაიამი ჰითის"** ბებერმა ვარსკვლავმა ალონზო მურნინგმა ნბა-ს სხვა ცნობილ სახეებთან — სემ კასელთან, კარლოს ბუზერთან და დეიმონ სტუდემაიერთან ერთად მაიამიში ბავშვებს საჩვენებელი საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარა და იქვე განაცხადა, „ჰითში" კიდევ ერთი სეზონით ვაპირებ დარჩენასო. ყველამ კარგად იცის, რომ ბოლო სამი წელია, მურნინგი კალათბურთიდან „მიდის-ხოლმე", მაგრამ 37 წლის ზო ამბობს, რომ მომავალი სეზონი მისთვის ნბა-ში მე-15 და ამას წყალი აღარ გაუვა.

„მინდა, რომ გუნდსაც და საკუთარ თავსაც ძველი სახელი აღვუდგინო — ბობოქრობს ზორბა ზო — წლეულს პლეი ოფში თქვენ არ გინახავთ ნამდვილი „მაიამი", ეს გუნდი 2006 წლის ჩემპიონი გუნდის ლანდი იყო და მე ვერ მივცემ თავს უფლებას, კარიერა ასეთ ნოტაზე დავასრულო."

საკუთარ თავთან ერთად მურნინგმა „მაიამის" მწვრთნელ პატ რაილსაც შეუძახა, რომელიც ასევე ორჭოფობს და ხან ანებებს თავს მწვრთნელობას, ხან კი უბრუნდება. რაილისაც ასაკი ექაჩება პენსიაზე — ასოციაციის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული მწვრთნელი უკვე 62-ისა გახლავთ.

„პატს კიდევ ერთხელ უნდა ველაპარაკო და ერთი წლით დარჩენაზე დავიყოლიო — ამბობს მურნინგი — ის უნდა დაბრუნდეს და ჩვენთან ერთად იყოს ჩემს უკანასკნელ სეზონში. ვალდებულები ვართ, გუნდს აზრზე მოსვლაში დავეხმაროთ და ძველ, საჩემპიონო რელსებზე დავაყენოთ. პირადად მე ვაპირებ, გასახდელში ვულიდერო და შევუძახო ბიჭებს."

**კოტე ყორშია**

# საფრანგეთში სულ სხვა საქართველოს იხილავთ

## ქართველი მაყურებელი ამ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლით იხილავს

გუშინ „შერატონ მეტეხი პალასის" საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირის და საზოგადოებრივი მაუწყებლის გაერთიანებული პრესკონფერენცია გაიმართა.

2007 წლის 31 მაისს რაგბის კავშირმა და საზოგადოებრივმა არხმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომელიც 2007 წლის რაგბის მსოფლიოს თასის ექსკლუზიურ რეპორტაჟებს გულისხმობს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით მსოფლიოს თასის 25 მატჩი გადაიცემა, მათ შორის საქარვთელოს ნაკრების ოთხივე თამაშიც




თამარ კინწურაშვილი, მერაბ ანთაძე, მალხაზ ჭეიშვილი და მიშელ ფულკიე

**ამჟამად** ჩვენი „ლელოები" თასისწინა შეკრებას თბილისში „შევარდენის" ბაზაზე გადიან. 27 ივლისამდე ფრანგი ფიტნეს სპეციალისტის დახმარებით ფიზიკური მომზადების სპეციალურ კურსს გაივლიან და ერთკვირიანი შესვენების შემდეგ უკვე საფრანგეთში გააგრძელებენ მსოფლიოს თასისთვის მზადებას. ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა თამარ კინწურაშვილმა, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ, საზოგადოებრივი არხის სპორტულმა კომენტატორმა დავით მინაშვილმა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა, ნაკრების ფიტნეს-მწვრთნელმა ნიკოლა ფულკიემ და საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ილია ზედგინიძემ.

**მერაბ ანთაძე:** თავიდანვე მჯეროდა, რომ მსოფლიოს თასზე გავიდოდით, ამიტომ რაგბის კავშირი უკვე გარკვეული გეგმებით შეხვდა მოსამზადებელ ეტაპს. ვგულისხობ არა მარტო ნაკრებს და მის გარშემო მიმდინარე პროცესებს, არამედ თვით ამ უდიდესი სპორტული ფორუმის მაღალ დონეზე გაშუქებას და ზოგადად რაგბისთან დაკავშირებით პიარკომპანიების ჩატარებას. იმედი მაქვს, მომავალი მსოფლიოს თასი ჩვენი ქვეყნისთვის მრავალ ასპექტში იქნება წარმატებული. განვმარტავ, რომ გარდა კონკრეტული სპორტული მიღწევებისა, რაც ჩვენი ნაკრების შემხედვარე არცთუ ისე ბუნდოვანია, ასევე გვეძლევა საშუალება, მრავალ მილიონ ადამიანს პოზიტიური კუთხით დავანახოთ საქართველო. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა სახის საინტერესო და სახალისო აქციები, რომლებიც ქართული რაგბის განვითარებას შეუწყობს ხელს და აგრეთვე პოტენციურ სპონსორებს მხარდაჭერის უკეთ წარმოჩენის საშუალებას მისცემს. მოგეხსენებათ, საფრანგეთშიც და ზოგადად ევროპაშიც ქართული დიასპორის სიმრავლეა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ნაკრებს სტადიონზე გულშემატკივარი არ მოაკლდება. რაც შეეხება აქაურ ქომაგებს, რაგბის კავშირი თანამშრომლობს კომპანია „ფრეშთრეველთან", რომელიც ხელს შეგვიწყობს მატჩებზე დასასწრები ბილეთების შეძენაში.

**— პირადად თუ დაესწრებით მსოფლიოს თასის თამაშებს?**

— გარკვეულ მატჩებს დავესწრები, მაგრამ ჩემი მოულოდნელობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ბოლომდე გუნდთან ერთად ვერ დავრჩები. სამაგიეროდ, დელეგაციაში არიან დიდ ფორუმებზე ნამყოფი ადამიანები, რომლებიც სისტემატურად მოგვაწვდიან საჭირო ინფორმაციას.

**თამარ კინწურაშვილი:** საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დიდი პატივია ასეთი მასშტაბის ტურნირის გაშუქება, მით უმეტეს, როცა იქ საქართველოსეროვნული ნაკრები მონაწილეობს. ჩვენი პრიორიტეტი ყოველთვის საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება იყო. მინდა გავახარო სპორტის გულშემატიკვარი და ვუთხრა, რომ ექსკლუზიური უფლება 2008 წლის ოლიმპიადის და ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტრანსლირებაზეც მოვიპოვეთ.

**დავით მინაშვილი:** 25 საინტერესო პირდაპირი რეპორტაჟის გარდა, ვგეგმავთ შოუებს მოქმედი თუ ვეტერანი მორაგბეების მონაწილეობით. ჩვენს გადაცემებს დაერთვება სპორტული ვიქტორინა. საფრანგეთში წარგზავნილი სპეციალური ჯგუფი კი ყოველდღიურად მოგვაწვდის ახალ ინფორმაციას.

**— როგორ მიმდინარეობს ნაკრების მოსამზადებელი ეტაპი?**

**მალხაზ ჭეიშვილი:** როგორც ყოველთვის, პატარ-პატარა, პრობლემები ახლაც გვაქვს, მაგრამ მთლიანობაში უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. ახლა ჩვენ მომზადების მეორე ეტაპს გავდივართ, რომელიც 9 ივლისს დაიწყო და 27-მდე გაგრძელდება. შემდეგ ერთკვირიანი დასვენება გვექნება და 3 აგვისტოს უკვე საფრანგეთში მივემგზავრებით, კერძოდ, ქალაქ აჟენში. იქ ნაკრები ორ საწვრთნელ თამაშს გამართავს — 6 აგვისტოს „ოშთან" და 12 აგვისტოს „აჟენთან". 14 აგვისტოს დასახელდება ნაკრების საბოლოო, 30-კაციანი შემადგენლობა. 18-25 აგვისტოს სენტაფრიკში არმან ვაკერენის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, რითაც მოსამზადებელი ეტაპის მთავარი ნაწილი დასრულდება.

აქვე ქართულ პრესას ოფიციალურად წარუდგა „ლელოების" ფიზმომზადების მწვრთნელი **მიშელ ფულკიე:**

— ადრე პროფესიონალი მორაგბე ვიყავი, ვთამაშობდი „ტულუზში". მუხლის ტრავმის გამო აქტიურ სპორტს გამოვეთიშე, მაგრამ ამ სფეროდან არ წავსულვარ. საფრანგეთში და ახალ ზელანდიაში სამწვრთნელო კურსები გავიარე და ფიზმომზადების მწვრთნელის სერთიფიკატი მაქვს.

**— გიმუშავიათ საფრანგეთსა და ახალ ზელანდიაში, ანუ ჩახედული ხართ იქაურ რაგბიში. რამდენად შეესაბამება საქართველოს ნაკრების მორაგბეების ფიზიკური მომზადების დონე მსოფლიოს წამყვანი მოთამაშეებისას?**

— რა თქმა უნდა, განსხვავება დიდია, მაგრამ ნაკრების წევრების უმეტესობა საფრანგეთში თამაშობს და მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. ახლა ზუსტად იმ ეტაპზე ვართ, რომ გუნდში ფიზიკური მომზადების საერთო დონე გავათანაბროთ და ყველასთვის კონკურენტუნარიანები გავხდეთ.

**ილია ზედგინიძე:** გუნდში არაჩვეულებრივი განწყობაა. მზად ვართ, ნებისმიერ ნაკრებს „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვებრძოლოთ". დამერწმუნეთ, საფრანგეთში სულ სხვანაირ საქართველოს ნაკრებს იხილავთ.

**ზურაბ მიზრიაული**



# ისრის წვერზე წამოგებული ლიცენზიები

## ლაიპციგში გამართული მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნდა საქართველოს ქალთა ნაკრები, რომლის მთავარ მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძეს ამ შეჯიბრებაზე ჩვენი სპორტსმენის გამოსვლის თაობაზე ვესაუბრეთ

— როგორ შეაფასებდით ლაიპციგში ქართველების შედეგებს?

— ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით კმაყოფილი ვართ. ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილეებმა ხათუნა ნარიმანიძემ და ქრისტინე ესებუამ პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც მოიპოვეს. ნარიმანიძემ საბოლოოდ მეხუთე ადგილი დაიკავა. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ისეთი ძლიერი გუნდები, როგორებიც ბელარუსებს და თურქებს ჰყავთ, საერთოდ ულიცენზიოდ დარჩნენ, რუსეთის ძლიერმა ნაკრებმა ორი ლიცენზია დაიმსახურა. ამდენივე ლიცენზია მოიპოვეს უკრაინელებმა, რომლებიც მსოფლიოში რეიტინგით მეორე-მესამე ადგილზე არიან. მსოფლიოს მშვილდოსნობის ერთ-ერთი ლიდერები, ამერიკელი სპორტსმენები მხოლოდ ერთი ლიცენზიას შეწვდნენ. ჩვენი მესამე მშვილდოსანი ასმათ დიასამიძე, სამწუხაროდ, პირველსავე წრეში დამარცხდა. მისგან გაცილებით მეტს ველოდით, მაგრამ სპორტი, მოგეხსენებათ, მოულოდნელობებითაა აღსავსე და გამონაკლისი არც ეს მსოფლიოს ჩემპიონატი იყო.

**— ასმათ დიასამიძე მართლაც გამოცდილი სპორტსმენია. ბოლოს და ბოლოს, სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა, ალბათ, მას კიდევ ექნება შანსი, რათა პეკინის ლიცენზიაც დაიმსახუროს, რაც ჩინეთის დედაქალაქში გუნდურ პირველობაში გამოსვლის საშუალებასაც მოგვცემს...**

— დიახ, დიასამიძე გამოცდილი სპორტსმენია. ლაიპციგში პირად პირველობაში წარუმატებლობის მიუხედავად, მას ახლაც შეეძლო ლიცენზიის მოპოვება, როცა სხვებთან ერთად გუნდურ შეჯიბრებაში გამოდიოდა, მაგრამ დამატებით სერიაში წავიფორხილეთ. თუმცა ასმათ დიასამიძე გაისად ევროპის ჩემპიონატში ეცდება მიზნის მიღწევას, სადაც ქალებში სამი ოლიმპიური ლიცენზია გათამაშდება. იქ საპეკინო საგზურისთვის მისი მეტოქეები აღარ იქნებიან ის მშვილდოსნები, რომლებმაც ლაიპციგში ლიცენზიები მოიპოვეს. და თუ იგი მიზანს მიაღწევს, პეკინში, ისე როგორც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, გუნდურ პირველობაშიც გამოვალთ?

**— დავუბრუნდეთ ლაიპციგის მსოფლიოს ჩემპიონატს. მაინც რამ განაპირობა ჩვენი სპორტსმენების მიერ ორი ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება, რაც ამ ეტაპზე უმთავრესი იყო.**

— მიზნის მიღწევაში ძალიან დაგვეხმარა ჩემპიონატის წინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დახმარებით გერმანიაში გამართული ერთკვირიანი შეკრება და ის ბრწყინვალე პირობები, რომლებიც მასპინძლებმა შეგვიქმნეს. გერმანელთა მზრუნველობით აღფრთოვანებული დავრჩით. ჩვენს მიმართ ქალაქის ბურგომისტრიც კი დიდ ყურადღებას იჩენდა და პირადად გვეწვეოდა ხოლმე. ექსკურსიებითაც ძალზე გვასიამოვნეს. ამიტომაც ამ შეჯიბრებაზე გერმანელთა გულშემატკივრებიც გავხდით. ძალიან გვეწყინა, რომ ულიცენზიოდ დარჩნენ, მაგრამ, იმედია, მიზანს ევროპის ჩემპიონატზე მიაღწევენ.

სალაიპციგოდ ძალზე წაგვადგა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარებაც, რაც ფორმების შეძენითა და ანტალიაში მოწყობილი საწვრთნელი შეკრების გამოიხატა. დიდი დახმარება გაგვიწია ბანკმა „რესპუბლიკამ", როცა ეკიპირებითაც შეგვაშველა ხელი.

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა გადავუხადო ბათუმელ მწვრთნელ თემურ გორგოძეს, რომელიც ქრისტინე ესებუას უანგაროდ ავარჯიშებს. საერთოდ კი, საქართველოს ნაკრები სწორედ ბათუმში ვარჯიშობს, სადაც უკეთესი პირობებია, ვიდრე სხვაგან.

**ავთანდილ ტყვიშვილი**



ბაჩუკი კაჭკაჭიშვილის ფოტო

# ბრინჯაოს წონა: მსუბუქი და მძიმე

ქართველმა მოკრივეებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მოსამზადებელი ციკლის ერთი ეტაპი ახლახან ვარიანში გაიარეს. მისი დასრულებისთანავე ნაკრების თავკაცმა ავთანდილ შოშიაშვილმა ექვსი შეგირდი ბელარუსში იახლა და მინსკის საერთაშორისო ტურნირზე გამოიყვანა. ორი ჩვენებური კვარცხლბეკზეც ავიდა. ზვიად ხადურმა (48კგ) და ბექა ლობჟანიძემ (+91კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საქართველოში დაბრუნებულ შოშიაშვილს გუშინ ამ ტურნირზეც ვკითხეთ და მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისზეც



ავთანდილ შოშიაშვილი

— მინსკში ბევრი ნაკრები ჩადის ხოლმე და ტურნირიც ყოველთვის მაღალ დონეზე ტარდება. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. თვრამეტმა ქვეყანამ მოიყარა თავი. მასპინძლები კი სულაც სამი შემადგენლობით გამოვიდნენ.

**— ჩვენი ნაკრები მხოლოდ ექვსი მოკრივით რატომ იყო მიწვეული?**

— რაოდენობა მარტო ჩვენთვის როდი იყო შეზღუდული. ბელარუსებმა თითქმის ყველა არასრული გუნდით მიიწვიეს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ხარჯს თავად ორგანიზატორები იღებდნენ თავის თავზე და მართლაც ბრწყინვალედ გვიმასპინძლეს.

**— ბელარუსში წასაყვან ექვსეულში ნიკოლოზ იზორია, კობა ფხაკაძე და კახა ჟვანია რატომ ვერ მოხვდნენ?**

— იზორია და ფხაკაძე ტურნირების წინ ძალიან ბევრს იკლებენ ხოლმე. დაახლოებით 7-8 კილოგრამს. ამიტომ მათთან ერთად გადავწყვიტეთ, ამჯერად რინგზე არ ასულიყვნენ. ჟვანიას კი არცთუ დიდი ხნის წინ, ჩეხურ ტურნირზე მძიმე ბრძოლები ჰქონდა და კიდევ უფრო გადატვირთვა მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ.

**— ექსეულით კმაყოფილი დარჩით?**

— ბიჭები საკმაოდ კარგად გამოვიდნენ, თუმცა უკეთესი შედეგით ჩამოსვლაც შეიძლებოდა. ხადურის და ლობჟანიძის გარდა მედლებს ვასილ ყაზიშვილი (60კგ) და ლევან ლვამიჩავაც (64კგ) იმსახურებდნენ. განსაკუთრებით ლვამიჩავა მინდა გამოვარჩიო. იგი თავის წონაში აშკარად საუკეთესო იყო და ეს ყველამ აღნიშნა. სამეულს მიღმა კი ტრავმის გამო დარჩა. პირველი წრე ლევანმა ტექნიკური ნოკაუტით გაიარა. მეორეში ბოლო რაუნდამდე იგებდა და ამ დროს დაშავდა. მისი მომგები მართლა არავინ არ იყო. ყაზიშვილი კი უმედლოდ ნახევარფინალში გასასვლელი შეხვედრის ბოლო რაუნდმა დატოვა, არადა, იქამდე სულ იგებდა. გიორგი ნაკანმა (75კგ) ტურნირი ლატვიელი მოწინააღმდეგის დანოკაუტებით დაიწყო, მაგრამ მეორე წრეში ძლიერ მასპინძელთან წააგო. დავით წიკლაურს (81კგ) რუსეთის ნაკრებიდან ბელარუსში გადასულმა მოკრივემ აჯობა რამდენიმე ქულით. ხადურმა და ლობჟანიძემ ბრინჯაოები კი მოიპოვეს, მაგრამ გაცილებით მაღლა ავიდოდნენ, საქართველოში რიგიანი კონკურენტები რომ ჰყავდეთ. უმსუბუქეს და უმძიმეს წონებში, სამწუხაროდ, ეს პრობლემა ყველაზე მეტად გვიშლის ხელს.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე რა გეგმები გაქვთ?**

— აუცილებლად გვინდა ორი ერთობლივი შეკრება. პირველი თითქმის გადაწყვეტილია. აგვისტოს შუა რიცხვებში ბაქოში წავალთ და აზერბაიჯანის ნაკრებთან ერთად ვივარჯიშებთ. მეორე შეკრების თაობაზე კი ჩვენი ფედერაცია ჯერაც აწარმოებს მოლაპარაკებებს.

**— მსოფლიოზე რამდენკაციანი გუნდით გამოვა საქართველო?**

— ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით. სავარაუდოდ, 9-10 მოკრივით. ჩიკაგოში ჩასატარებელ ჩემპიონატამდე ჯერ დიდი დროა. ტურნირი 17 ოქტომბერს დაიწყება. ჩვენ კი შეერთებულ შტატებში ალბათ ხუთი დღით ადრე ჩავალთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# სახელი დიდია, სახრავი ცოტა

**საერთაშორისო** მძლეოსნობის კალენდარს კიდევ ერთი დიდრონი ტურნირი მიემატა. ჩრდილოეთ ამერიკის (იგულისხმება აშშ, კანადა, მექსიკა), ცენტრალური ამერიკის (პანამის ყელი) და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებმა სრულიად ჩრდილოეთ ამერიკის ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს. მსგავსი გეოგრაფიული არეალის ტურნირი მანამდე ახალგაზრდებში ტარდებოდა. რაც შეეხება დიდებს, ყველა ამერიკული ქვეყანა პან-ამერიკული (ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტები) თამაშებში წარადგენდა მძლეოსანთა გუნდებს. ახლა კი კონტინენტის წმინდა სამძლეოსნო პირველობასაც ჩაეყარა საფუძველი.

თავში სიტყვა დიდრონში ტურნირზე მონაწილე ქვეყნების სიმრავლე ვიგულისხმეთ და არა ხარისხი.



ჯორდან ვადენი

ჩემპიონატს სალვადორის დედაქალაქმა სან სალვადორმა უმასპინძლა და 26 ქვეყნის წარმომადგენლებმა 42 სახეობაში გაინაწილეს მედლები — 21-21 კაცებსა და ქალებში.

კონტინენტის პირველ ჩემპიონატს რატომღაც წაუყრუეს მძლავრმა სამძლეოსნო ქვეყნებმა კუბამ და კანადამ და ისედაც უკადეგანო ფავორიტმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უზარმაზარი უპირატესობით მოიგო მედლების საერთო ჩათვლაში, მიუხედავად იმისა, რომ მათ სალვადორში პრაქტიკულად ყველა მსოფლიო დონის ვარსკვლავი აკლდათ და ტურნირზე იმ გოგო-ბიჭებით ჩავიდნენ, რომლებიც მსოფლიოს უდიდეს სამძლეოსნო ტურნირებში ძუნწად ხვდებიან. აშშ-ს გუნდს 126 მედლიდან 43 შეხვდა — 28 ოქრო, 9 ვერცხლი და 6 ბრინჯაო. შემდეგ მოდიან მექსიკა (4-14-2), ტრინიდადი და ტობაგო (3-3-5), მასპინძელი სალვადორი (3-1-2), იამაიკა (1-7-1), და ასე შემდეგ.

მექსიკა ძნელად ჩაითვლება სამძლეოსნო ქვეყანად. ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხშირად საერთოდ უმედლოდ რჩება ეს 120-მილიონიანი სახელმწიფო, მაგრამ ამ დონის შეჯიბრში აგერ, მეორე ადგილი ერგო (კუბელები და კანადელები ყოფილიყვნენ და მექსიკა ბევრსაც ვერაფერს იხეირებდა).

ტურნირს აკლდა როგორც ამერიკელი, ისე სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ვარსკვლავები და შესაბამისად შედეგებიც დიდი ვერაფერი აღინიშნა. მხოლოდ რამდენიმე თუ ღირს გამორჩევად: ამერიკელი 200-მეტროსანი ჯორდან ვადენის 20,17-წამიანი ფინიში, ასევე ამერიკელი 400 მეტრზე თარჯმორბენალი ლერონ ბენეტის გამარჯვება 48,76 წამში და იამაიკელი 4X100 მეტრზე მოესტაფეტე გოგონების ჩემპიონობა 43,73-წამიანი შედეგით.

ფეხმალი მორბენლებით განთქმულ იამაიკას მხოლოდ ერთადერთი ოქრო შეხვდა, რაკი ვერც ასაფა პაუელმა, ვერც შერონ სიმპსონმა და ვერც სხვა დიდი გაქანების მძლეოსნებმა სალვადორში სარბენად ჩასასვლელად ვერ მოიცალეს. რაც შეეხებათ მასპინძელ სალვადორელებს, მათ სამი ოქროდან ორი სპორტულ სიარულში მოიპოვეს — 10 კილომეტრზე სიარულში იმარჯვეს სალვადორელმა კაცმაც და ქალმაც.

**კოტე ყორშია**

# პერდიტას შიში და სიხარული



პერდიტა ფელისიენი

**კუბისა** რა მოგახსენოთ და კანადელ სპორტსმენებს კონტინენტის პირველობის გაცდენის საპატიო მიზეზი ჰქონდათ. ონტარიოს შტატის ქალაქ უინძორში ქვეყნის ჩემპიონატს ატარებდნენ და სალვადორში ჩასასვლელად არ ეცალათ.

კანადის ჩემპიონატი კი რამდენიმე საკმაოდ საინტერესო შედეგით გაილია. 12,50-წამიანი შედეგით დაიქუხა 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ქალთა 100 მეტრ თარჯრბენში, პერდიტა ფელისიენმა. მსოფლიოს ექსჩემპიონი სირბილის შემდეგ ბედნიერი და ისეთი დამშვიდებული ჩანდა, თითქოს ზურგიდან მთელი მსოფლიოს თარჯები ჩამოხსნესო. — „მძიმე ბრძოლა იყო. პირველად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მე ენით აუწერელ შიშს ვგრძნობდი სტარტის წინ. ცოტა ქარი, ცოტა კი ჩემი ახალგაზრდა მეტოქე ანჯელა ვაიტი მანერვიულებდა და თავს რიტმიდან ამოვარდნილად ვგრძნობდი. არც კი ვიცი, რა ვთქვა. ძალიან გამიხარდა, ყველაფერი ასე კარგად რომ დასრულდა“.

ბრძოლა კი მართლაც დაძაბული გამოვიდა მასსა და ვაიტს შორის. ეს უკანასკნელი მხოლოდ ბოლოსკენ ჩამორჩა გამოცდილ ფელისიენს და -0,05-წამიანი, ანუ 12,55 შედეგით საპატიო მეორე ადგილი დაიკავა.

რაც შეეხება კაც თარჯმორბენალს, აქ 110 მეტრი 13,58 წამში მოიგო კარლოს ალენმა და ამით ის ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონი შეიქნა, მაგრამ შედეგით დიდად ვერ იამაყებს, რაკიღა მსოფლიოს ტოპკლასის თარჯმორბენალი კაცების დროები დაახლოებით 12,9-13,15 წამში მერყეობს.

სამაგიეროდ, რიგიან შედეგად ჩაითვალა 400 მეტრზე კაცთა გამარჯვებული ადამ კუნკელის 50,52 წამი. ისე კი, მან საკვალიფიკაციო გარბენში 49,68 შედეგი აჩვენა. ალენის არ იყოს, კუნკელიც კანადის ხუთგზის ჩემპიონი შეიქნა.

კაცთა 400 მეტრი 45,10 წამში მოიგო ტაილერ კრისტოფერმა. მას თურმე სურდა, 44 წამის ფარგლებში ჩატეულიყო, რაკი მსოფლიოში უძლიერესი მე-400 კაცი, ამერიკელი ჯერემი უორინერი ამ დროში დარბის, მაგრამ ბოლოს გამძლეობამ დაალალატა და წაართვა ძვირფასი წამი.

**კოტე ყორშია**

# ნადალი თიხას ვერ მოსცილდა

**კაცები**
შტუტგარტი. გერმანია
თიხნარი. საპრიზო 642 750 €

**პირველი წრე**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:1 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — სიმონ გრეილი (გერმანია) 6:1 6:2; **ხუან მონაკო** (8, არგენტინა) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) 6:2 6:1; **ტომაშ ბერდიხი** (3, ჩეხეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:1 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (6, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა** (7, არგენტინა) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:3 6:3; **დავიდ ფერერი** (4, ესპანეთი) — ლუკაშ ლაკო (სლოვაკეთი) 6:2 6:2; **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:7 6:2 1:0 (უარი); **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ტომი რობრედო (2, ესპანეთი) 7:6 6:2

**კაცები**
ამერსფორტი. ჰოლანდია
თიხნარი. საპრიზო 353 450

**პირველი წრე**

**ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) 4:6 6:1 6:1; **ნიკოლა დევილდერი** (საფრანგეთი) — აგუსტინ კალერი (5, არგენტინა) 6:3 6:1; **კარლოს მოია** (3, ესპანეთი) — კრისტოფ როხუსი (ბელგია) 6:2 6:3; **ვერნერ ეშაუერი** (ავსტრია) — ნიკოლას ალმაგრო (7, ესპანეთი) 7:6 6:4; **სტივ დარსისი** (ბელგია) — მარკ ჟიკელი (8, საფრანგეთი) 6:3 6:4; **ფილიპო ვოლანდრი** (4, იტალია) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:2 6:4; **მიხაილ იუჟნი** (2, რუსეთი) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 6:2 7:5

**კაცები**
ლოს ანჯელესი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 525 000 $

**პირველი წრე**

**ზაკ ფლეიშმანი** (აშშ) — ფერნანდო გონსალესი (1, ჩილე) 7:6 6:4; **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) 7:6 7:5; **მიხაილ ბერერი** (გერმანია) — ამირ დელიჩი (8, აშშ) 6:4 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (7, სამხ. კორეა) — კევინ კიმი (აშშ) 6:3 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 6:3 6:7 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (5, რუსეთი) — დანაი უდომჩოკე (ტაილანდი) 6:1 6:4; **ჯეიმს ბლეიკი** (2, აშშ) — ალექსანდერ პეია (ავსტრია) 7:5 6:4

**ქალები**
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**პირველი წრე**

**ანა ჩაკვეტაძე** (1, რუსეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:4 6:0; **ელენა ვესნინა** (6, რუსეთი) — ანჟელიკა ბახმანი (გერმანია) 6:3 6:4; **სანია მირზა** (3, ინდოეთი) — აბიგაილ სპირსი (აშშ) 6:4 6:3; **აკიკო მორიგამი** (7, იაპონია) — კამილ პინი (საფრანგეთი) 4:6 7:6 7:6; **ანჟელიკ კერბერი** (გერმანია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 4:6 6:4 1:0 (დისკვალიფიკაცია); **პატი შნიდერი** (2, გერმანია) — მონიკ ადამჩაკი (ავსტრალია) 6:2 7:5

**ქალები**
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 145 000 დოლარი

**პირველი წრე**

**ევა ბირნეროვა** (ჩეხეთი) — მიქაელა კრაიჩეკი (1, ჰოლანდია) 6:2 6:4; **კატალინა კრისტეა** (რუმინეთი) — კაია კანეპი (7, ესტონეთი) 6:1 6:4; **აგნეს სავაი** (8, უნგრეთი) — იოანა ოლარუ (რუმინეთი) 6:2 6:1; **რობერტა ვინჩი** (5, იტალია) — კარინ კნაპი (იტალია) 6:2 2:6 6:3; **ემილი ლუა** (4, საფრანგეთი) — მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპანეთი) 6:4 6:3; **ფლავია პენეტა** (იტალია) — არავანე რეზაი (6, საფრანგეთი) 6:3 7:5; **მარტინა მიულერი** (2, გერმანია) — ანდრეა კლეპაჩი (სლოვაკეთი) 6:2 6:1



**ყველა** პროგნოზის საპირისპიროდ, რაფაელ ნადალმა დიდხანს დასვენება არ ინდომა და კორტზე მოსალოდნელზე გაცილებით ადრე დაბრუნდა. უიმბლდონის ფინალში მიღებული ტრავმისა და დასანანი მარცხის შემდეგ ბევრს ეგონა, რომ ესპანელი გამოჯანმრთელებას უფრო მეტ დროს მოანდომებდა და სავარაუდოდ მხოლოდ აშშ-ს ჰარდზე გამოჩნდებოდა. მაგრამ არა — რაფამ თიხნარზე კიდევ ერთხელ გაჯეჯილება გადაწყვიტა და შტუტგარტს ეწვია, სადაც შარშანწინდელის გამეორებას და ჩემპიონობას ეცდება. ხოლო ამ საფარზე ნადალის ჰეგემონიას თუ გავითვალისწინებთ, მისი გამარჯვება არავის გაუკვირდება — პირინეელმა ხომ გრუნტზე გამართული უკანასკნელი 90 მატჩიდან 89-ში იხეირა.

ჰოდა, ნადალი თავიდანვე შეეცადა საკუთარი სიძლიერის დემონსტრირებას და პირველ შეხვედრაში მასპინძელ ალექსანდერ ვასკეს დიდი ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა — მხოლოდ ორი გეიმი დათმო.

„დიდი მნიშვნელოვბა ჰქონდა კარგად დაწყებას. შტუტგარტის კორტები გრუნტისთვის ძალიან სწრაფია და ბედნიერი ვარ, აქაურ ტემპს ადვილად რომ ავუღე ალღო“ — განაცხადა ნადალმა, რომელსაც კიდევ ერთ გერმანელ, ფილიპ კოლშრაიბერთან მოუწევს შეხვედრა.

კარგად დაიწყო მოქმედმა ჩემპიონმა და რამდენიმე დღის წინ შვედური ბასტადის ტრიუმფატორმა დავიდ ფერერმაც. ეს პირინეელიც დიდებულ სათიხნარო სეზონს ატარებს და ამ საფარზე ნადალის გარდა ყველაზე მეტი გამარჯვებაც მოუპოვებია. ამჯერად ფერერი სლოვაკ ლუკაშ ლაკოს გაუსწორდა. მეორე წრეშია კიდევ ერთი ესპანელი, ხუან-კარლოს ფერეროც, რომელმაც უფსკრულისკენ შეუჩერებლად მქროლავი გასტონ გაუდიო გერმანულ თიხაში აზილა.

თუმც ესპანური დელეგაცია მაინც შეთხელდა, როცა ტურნირის მეორე ნომერი ტომი რობრედო დამარცხდა. ესპანელი ბობოლა გაელ მონფილსმა შეიწირა. ზედიზედ მეორე ტურნირია, ეს ახალგაზრდა ფრანგი ერთ-ერთ ფავორიტს პირველივე წრეში აგდებს. შეგახსენებთ, რომ ზუსტად ერთი კვირის წინ შავტუხა გალმა შვეიცარიული გშტაადიდან ნიკოლაი დავიდენკო დაიფრინა.

რახან დავიდენკოზე ჩამოვარდა საუბარი, აქვე გეტყვით, რომ რუსმა კიდევ ერთხელ „ისახელა“ თავი — ახლა უკვე ჰოლანდიურ ამერსფორტში წააგო. მოსკოველი ისევ ფრანგმა, ამჯერად ფლორენ სერამ გაამწარა. დავიდენკომ თავიდან თითქოს კარგად დაიწყო, მაგრამ მოგებული სეტის შემდეგ მომდევნო პარტიებში მხოლოდ ორი გეიმიღა აიღო და რაღა გასაკვირია, რომ წააგო.

ისე, გშტაადში დავიდენკოსთან ერთად კიდევ ერთმა რუსმა, მიხაილ იუჟნიმაც პირველივე წრეში წააგო, მაგრამ ეს სლავი ამ ჯერზე გადაურჩა სირცხვილს და მარტინ ვასალო არგუელოს საკმაო წვალებით, მაგრამ მაინც აჯობა.

საერთოდ, ფავორიტებს ამ კვირაში მაგრად არ გაუმართლათ — ამერსფორტისა არ იყოს, ლოს ანჯელესშიც თავიდანვე დამარცხდა ტურნირის პირველი ნომერი ფერნანდო გონსალესი. ჩილელს მასპინძელმა ზაკ ფლეიშმანმა გამოუყვანა წირვა, რისთვისაც იანკამ ორი სეტი იმყოფინა. კალიფორნიაში კიდევ ერთი გვარიანი სენსაცია მოხდა, როცა დავიდ ნალბანდიანმა როგორღაც მოახერხა იგორ კუნიცინთან წაგება. აქ სწორედ რომ არგენტინელზე ვაკეთებთ აქცენტს, რომელიც თავისით დამარცხდა, თორემ ამ რუსს კოჭლობით უნდა გამკლავებოდა.

კაცებისგან განსხვავებით, გაცილებით პატარა კალიბრის ტურნირებზე უწევთ თამაში ქალბატონებს, რის გამოც ბობოლათა აბსოლუტური უმრავლესობა ამ კვირაში ისვენებს. თუმც ცინცინატიში ერთი ძალიან საყურადღებო და შეიძლება ითქვას, უნიკალური მოვლენა მოხდა. ანჟელიკა კერბერთან შეხვედრისას თავი „გამოიჩინა“ ანასტასია როდიონოვამ — მესამე და გადამწყვეტი სეტის დასაწყისში წაგებული გეიმის შემდეგ რუსი რაღაცაზე ძალიან გამწარდა და ბურთი მაყურებელთა იმ მცირე ჯგუფისკენ გაისროლა, სადაც გერმანელის გულშემატკივრები ისხდნენ. ამის დანახვაზე მატჩის მთავარმა მსაჯმა ტურნირის მთავარი მსაჯი უილიამ კოფი გამოიძახა და მასთან ხანმოკლე მოლაპარაკების შემდეგ როდიონოვას დისკვალიფიკაცია მისცა და შესაბამისად, მატჩის წაგება ჩაუთავალა „არასპორტული საქციელისთვის“.

წმინდა ეთიკური კუთხით მსაჯის ამ საქციელში გასაკვირი არაფერია, მაგრამ საქმე ისაა, რომ წესით რეფერის ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდა — ჩოგბურთელის დისკვალიფიკაცია მხოლოდ მესამე გაფრთხილების შემდეგ შეიძლება, როდიონოვას კი მანამდე ერთი გაფრთხილებაც არ მიეღო. ასე რომ, ქალთა ჩოგბურთის უფროსობას ამაზე საკმაო ხანს მოუწევს თავის მტვრევა.

**კახა ლომჯარიძე**

## ჰიუიტს როუჩი დამოძღვრავს

**ლეიტონ ჰიუიტმა**, როგორც იქნა საშველი დაადგა და ტონი როჩს შეუთანხმდა. ასე რომ, როჯერ ფედერერის ყოფილი მწვრთნელი ამიერიდან თანამემამულეს დამოძღვრავს. მოგეხსენებათ, ჰიუიტი ყოფილმა დამრიგებელმა როჯერ რაშიდმა წლის დასაწყისში, ზედ ავსტრალიის ღია პირველობის წინ მიატოვა და იმის შემდეგ ოზი ბიჭი უმწვრთნელოდ იყო. როუჩისა და ფედერერის ურთიერთობებს კი გაზაფხულზე, „როლან გაროსის“ წინ მოეღო ბოლო და მას შემდეგ თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ ორი ავსტრალიელი ერთად იმუშავებდა, თუმც ეს ოფიციალურად მხოლოდ ახლახან გაფორმდა.

ისე, ჰიუიტსა და როუჩს უკვე ნამუშევარი აქვთ ერთად ავსტრალიის სადევისო ნაკრების შემადგენლობაში.

„ჯერ კიდევ ნაკრებში მუშაობისას ტონი მაგრად დამეხმარა ტაქტიკური მომზადების კუთხით. დარწმუნებული ვარ, რომ მასთან თანამშრომლობით მხოლოდ მოვიგებ. როუჩი ის მწვრთნელია, რომელიც საჩემპიონო დონეზე დაბრუნებაში დამეხმარება“ — ოპტიმისტურად არის განწყობილი ჰიუიტი.

## მორესმო აშშ-ს ღია პირველობას გამოტოვებს?

**ამელი მორესმოს** მწვრთნელ ლუი კურტოს თქმით, არის იმის ალბათობა, რომ მისმა შეგირდმა წლის ბოლო სლემტურნირი, აშშ-ს ღია პირველობა გამოტოვოს.



„მას აუცილებლად ესაჭიროება დასვენება, ძალიან დაღალა საჩოგბურთო რუტინამ, რის გამოც სპორტისგან მთლიანად უნდა დაისვენოს. მას არ ეყოფა 10 ან 15 დღე, უბრალოდ, სხვა სამყაროში უნდა გადაერთოს“ — განაცხადა კურტომ.

დასვენება დასვენებად, მაგრამ თუ ტრავმა არ აწუხებს, მაშინ მორესმოს ხომ უნდა მოესწრო აშშ-ს ღია პირველობამდე გონს მოსვლა? სლემტურნირი ხომ 17 აგვისტოს იწყება, იქამდე კი დიდი დროა. ამ კითხვაზე კურტომ მხრები აიჩეჩა და თქვა:

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს. იქნებ ვერც აშშ-ში ითამაშოს“.

ამის შემდეგ ფრანგ და არა მარტო ფრანგ ჟურნალისტებს რა მოასვენებდათ, სანამ თავად ამელის კომენტარს არ მოისმენდნენ. მორესმომაც პრესისგან დამალვას შემდეგის თქმა ამჯობინა:

„უნდა დავისვენო. ფედერაციის თასი რომ არა, უკვე სადმე ტროპიკულ კუნძულზე ვიქნებოდი. თუმც ნაკრების გამო არდადეგები გადავდე. ახლა კი ხელს არაფერი მიშლის. ვარჯიშს როდის დავიწყებ, ზუსტად ვერ გეტყვით. აშშ-ს ღია პირველობა მნიშვნელოვანი ტურნირია, მაგრამ, მგონი ურიგო არ იქნება, ახალ სეზონზე დავიწყო ფიქრი“.

როგორც ჩანს, მორესმომ აშშ-ს ღია პირველობაზე მართლა ხელი ჩაიქნია.

## დევენპორტი დაბრუნებას გეგმავს

**უკანასკნელი** ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო ქალი მეჩოგნე, ლინდსი დევენპორტი კორტზე დაბრუნებას გეგმავს. მოგეხსენებათ, ლინდსიმ ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განცხადება გასული წლის მიწურულს გააკეთა — მიზეზი კი ჩოგბურთელის ფეხმძიმობა გახლდათ.

ჰოდა, ლინდსის აგერ ისევ კორტისკენ გაუწია. დევენპორტს იმედი აქვს, რომ წლის ბოლომდე შეძლებს ტურში დაბრუნებას, მომავალი სეზონიდან კი სრული დატვირთვით ათამაშებას გეგმავს.

ამერიკელის თქმით, ჩოგბურთში დაბრუნება მას კიდევ იმიტომ უნდა, რომ მომავალ წელს პეკინის ოლიმპიადაზე სურს მონაწილეობის მიღება. 1996 წლის ატლანტის ოქროსმედალოსანს კიდევ ერთხელ უნდა ოლიმპიური კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგომა.

## მაკამ მოიგო, ოქსანამ წააგო

**წარმატებით** დაიწყო თამაში ფრანგული კონტრექსევილის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიან ტურნირზე საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა.

პირველ წრეში მე-7 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა 6:3 6:0 გაანადგურა 26 წლისა და კლასიფიკაციაში 412-ე ადგილზე მყოფი ფრანგი აურელივ ვედი. ჩახნაშვილის მეორე მეტოქე ან ტუნისელი სელიმა სფარი იქნება, ანაც ჩერნოგორიელი დენი კრსტაჯიჩი.

აი, ოქსანა კალაშნიკოვასთვის კი გერმანული გერხინგის თიხაზე თამაში პირველ წრეში დასრულდა. ოქსანამ იოლად კი დაძლია საკვალიფიკაციო ბარიერი, მაგრამ ძირითად ბადეში მასავით კვალიფიკაციიდან წამოსულ ახალზელანდიელთან, რეიტინგში 907-ე ადგილზე მყოფ დიანა ჰოლანდსთან 5:7 4:6 დამარცხდა.

**კახა ლომჯარიძე**

ველორბოლა

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი




# ათი წლის შემდეგ, მარსელში

94-ე „ტურ დე ფრანსის“ ქარავანი ალპებიდან ხმელთაშუა ზღვისკენ დაეშვა და პარალელურად წლევანდელი მარშრუტის ეკვატორი გადალახა. ტაიარიდან მარსელამდე გასავლელი 230 კილომეტრი სასიერნო უნდა ყოფილიყო პელოტონის ძირითადი ჯგუფისთვის და ასეც იყო. მაგრამ ამ სეირნობას ერთი მაგრამ ახლდა 36-გრადუსიანი სიცხის სახით და დაგვერწმუნეთ, ვერ არის ასეთ ხვატში სეირნობა მთლად სასიამოვნო ამბავი.

მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა — პელოტონს საკმაოდ მალე გაექცა ჯგუფი, რომლის წევრებიც გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ და ფავორიტებმაც ზანტად გააყოლეს თვალი გაქცეულებს.

თანდათან ეს გაქცეულებიც დაიქსაქსნენ და ხუთკაციანი მოწინავე ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელშიც გერმანელი იენს ფოიგტი, შვეიცარიელი მიხაელ ალბასინი და ფრანგები — სედრიკ ვასერი, სანდი კასარი და პატრიკ ჰალგანდი იყვნენ. ფინიშამდე რამდენიმე კილომეტრით ადრე, როდესაც დალმართში მარსელის ქუჩები გამოჩნდა, ამ ხუთეულის უპირატესობამ მთელმარე პელოტონთან თორმეტწუთნახევარს უწია და მხოლოდ იმის გამო, რომ ბოლო ორ კილომეტრზე ხუთეულს შიგნით ტაქტიკური ბრძოლა გაჩაღდა, გიგანტური სხვაობა ოდნავ შემცირდა და ბოლოს 10 წუთსა და 36 წამამდე დავიდა.

მოწინავე ხუთეულში ფავორიტად თითქოს ფოიგტი ითვლებოდა, ვისაც „ტურზე ორჯერ — 2001 და 2006 წლებში მოუგია ეტაპი, მაგრამ ისე მოხდა, რომ გერმანელი ამ ხუთეულში ბოლო აღმოჩნდა და ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა კი ფრანგების — ვასერისა და კასარის დუელში გაირკვა.

ვასერმა მოიგო, 36 წლის ვეტერანმა მაშინ წამოიწყო გადამწყვეტი იერიში, ფინიშამდე ასიოდე მეტრიღა რომ რჩებოდა, კასარი ოდნავ გვიან აჰყვა თანამემამულეს და თითქოს დაეწია კიდეც, მაგრამ სანტიმეტრები აღარ ეყო.

სედრიკ ვასერმა კი ათწლიანი შესვენების შემდეგ კარიერაში მეორედ იმარჯვა „ტურის“ გზებზე. 1997 წელს მეხუთე ეტაპი მოიგო და აი, ამდენი ხნის ლოდინი მარსელური ტრიუმფით დააგვირგვინა.

ვასერი „ქვიკ სტეპის“ წევრია და ბელგიური გუნდისთვის ეს გამარჯვება უკვე მესამე იყო წლევანდელ რბოლაში.

საერთო ჩათვლაში კი, ბუნებრივია და არაფერი შეცვლილა. „რაბობანკი“ მთელი გზა აკონტროლებდა პელოტონს და კაცმა რომ სიმართლე თქვას, გასაკონტროლებელი არც არაფერი იყო — მიქაელ რასმუსენის მეტოქეთაგან არავის გამოუთქვამს გაქცევის სურვილი.

რასმუსენი კვლავაც გვარიანად წინ არის და 2 წუთსა და 35 წამს უგებს მეორე ადგილზე მყოფ ალეხანდრო ვალვერდეს, ვისაც, თავის მხრივ, კვალში უდგანან იბან მაიო და კედელ ევანსი.

სავარაუდოდ, ეს სურათი არც დღეს და ხვალ შეიცვლება და ზეგ კი ალბში 54-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და ამ რბოლაში გამოჩნდება, რამდენად კარგად აქვს მორგებული რასმუსენს ლიდერის ყვითელი მაისურა.

და ერთიც — ვერც წლევანდელი „ტური“ გადაურჩა სადოპინგო სკანდალს. როგორც გერმანიის ველოსიპედისტთა კავშირის პრეს-სამსახური იუწყება, „T-მობაილის“ გერმანელი მრბოლის პატრიკ სინკევიჩის სისხლში აკრძალული პრეპარატების კვალი აღმოჩნდა.

სინკევიჩი კვირას გამოეთიშა რბოლას, როდესაც გზაზე გადმომხტარ გიჟმაჟ ქომაგს შეეჯახა, ხოლო დოპინგ-ტესტი მას „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე კარგა ხანით ადრე, 8 ივნისს აუღეს და A სინჯმა დადებითი პასუხი მოიტანა.

ახლა ყველანი B სინჯის პასუხს ელიან და ამ პასუხის მოლოდინში ორმა გერმანულმა ტელეარხმა — ARD-ემ და ZDF-მა დროებით შეწყვიტეს „ტურ დე ფრანსიდან“ რეპორტაჟები, აქაოდა, ასეთი მეთოდებით გვსურს დოპინგთან ბრძოლა და მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაშუქეთ პროფესიონალურ ველოსპორტს, თუ ეს სახეობა დოპინგისგან გაიწმინდებაო.

**მე-10 ეტაპი. ტაიარი-მარსელი. 230 კმ**

| | |
|---|---|
| 1. სედრიკ ვასერი (საფრანგეთი, „ქვიკ სტეპი“) | 5 სთ 20 წთ 24 წმ |
| 2. სანდი კასარი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“) | |
| 3. მიხაელ ალბასინი (შვეიცარია, „ლიქუიგასი“) | |
| 4. პატრიკ ჰალგანდი (საფრანგეთი, „კრედიტ აგრიკოლი“) | |
| 5. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი“) | 49 სთ 23 წთ 48 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი) | +2 წთ 35 წმ |
| 3. იბან მაიო (ესპანეთი, სონი დიუვალი“) | +2 წთ 39 წმ |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო“) | +2 წთ 41 წმ |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი“) | +3 წთ 08 წმ |
| 6. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | +3 წთ 18 წმ |
| 7. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 39 წმ |
| 8. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა) | +3 წთ 50 წმ |
| 9. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი“) | +3 წთ 53 წმ |
| 10. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი“) | +5 წთ 06 წმ |

სუმო

# ტრადიცია და ტამანოსიმა

## დღეს კოკაიმ პლუსს პლუსი უნდა მიამატოს

**ივლისური** ლოგიკით ნაგოიას ბაშოს დარჩენილ ოთხ ტურში ქართველ სუმოტორს ლევან ცაგურიას ორი მოგება და ორი წაგება დარჩა. დღეს კოკაიმ უნდა წააგოს. მერე რიგრიგობით უნდა მოიგოს და წააგოს და ბოლოს, თხუთმეტტურა შეჯიბრი დადებითი ბალანსის, კატიკოსის გამნადღებელი გამარჯვებით უნდა დასრულოს. მხოლოდ ტურნირის მიმდინარეობის მიხედვით შეკოწიწებული უინტერესო ლოგიკის დასანგრევად „შავ ზღვას“ მეთორმეტე ტურში 29 წლის ექსოძეკი ტამანოსიმას წაქცევა სჭირდება. ამით ჩვენებური პლუსბალანსს ორ ქულამდე ასწევს და სასექტემბრო ბაშოსთვის რეიტინგში დაწინაურების შანსსაც ერთიორად გაიზრდის. ხოლო თუ ტრადიცია გაგრძელდა...

კოკაიმ მეთერთმეტე ტურში მეექვსე გამარჯვება იშვიათ ტალანტად მონათლულ 21 წლის ექსკომუსუბი კისენოსატოსთან მიითვალა.

გუშინდელი დღის მთავარი მოვლენა კი წაუგებელი სეკივაკე კოტომიცუკისა და მის ზურგსუკან ჩასაფრებული იოკოძუნა ასასიორუს დაჭიდება იყო. მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა“ აქამდე შეუჩერებელი დევკაცი მძიმე ბრძოლაში დასცა და თავად ხომ წამოეწია, იოკოძუნა ხაკუხოც იმპერატორის თასის მაძიებელთა პირველ რიგში ასწია. თავის წილად ხაკუხომ სეკივაკე ამას დასწყვიტა გული, ბაშოზე მერვე მარცხი აწვნია და საშემოდგომოდ ერთი იერარქიული საფეხურით დაბლა, კომუსუბის წოდებამდე ჩააქვეითა.

ლიდერთა ტრიოს უკან რვაქულიანი ხომასიო დგას. აღმოსავლეთის მეექვსე მაეგაშირა გუშინდლამდეც ლიდერის უახლოესი მდევარი იყო და კოტომიცუკის წაგებით მასაც შეეძლო პირველადგილოსნებში გარევა, მაგრამ ვეტერან ოძეკისთან, კაიოსთან ვერას გახდა.

დღეს ხაკუხო კაიოს დაეჭიდება, ასასიორუ — ოძეკი კოტოოსიუს, კოტომიცუკი — ოძეკი ტიოტაიკაის, ხომასიო — ექსსეკივაკე ტოჩინონადას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ავტორბოლა

# ერთეტაპიანი ვინკელჰოკი




**კვირას** გერმანიაში, ლეგენდარულ „ნიურბურგრინგზე“ ევროპის საპირველფორმულო „გრან პრი“ გაიმართება. თერთმეტივე გუნდი, ცხადია, უკვე ადგილზეა და სახვალიო თავისუფალი ვარჯიშებისთვის ემზადება.

აუტსაიდერ „სპაიკერის“ ერთ-ერთი ბოლიდის საჭეს ახალი მძღოლი მიუჯდება. გერმანულ „ბილდ-ცაიტუნგის“ ცნობით, უქულო და შუა სეზონში სპონსორებისგან მიტოვებული კრისტიან ალბერსის ნაცვლად „ფერარის“ ძრავიანი მანქანით სპაიკერთა მეტესტე მარკუს ვინკელჰოკი გაიჯირითებს. იგი ცნობილი გერმანელი მეფორმულის მანფრედ ვინკელჰოკის შვილია. მამამისი 1985 წელს კანადაში რბოლისას დაიღუპა.

27 წლის მარკუსი მხოლოდ ერთ, მშობლიურ ეტაპზე დაიკავებს თავის კბილა ჰოლანდიელის ადგილს, მომდევნო რბოლებში კი „სპაიკერში“ ან „ჰონდას“ სათადარიგო პილოტ კრისტიან კლიენს, ან ესპანელ ახალბედა ადრიან ვალიესს, ანდა ინდოელ ნარაინ კარტიკეიანს ვიხილავთ.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge